# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 11 მაისი 2007 №105 (3028) ფასი 50 თეთრი






## აშვეთია რუსეთში ბრუნდება

ლომაია დუისბურგს გადააყოლეს

4



## წამსვლელებს გაუმარჯოს?

მოურინიუ ჩელსის დაფერთხავს

6



## ვინ იცის, სად არის ზღვარი?!

პირველი ქართველი ევერესტელის იუბილე: რომან გიუტაშვილი 70 წლისაა

14



# ზღვაში წვეთი, წვეთში ზღვა: რატომ მუდამ სხვა?

იყო დრო, ნბა-ში წასულ ქართველებს საქართველოში ჩამოსვლა ეძნელებოდათ...

ახლა სხვა დროა და მსოფლიოს უძლიერეს საკალათბურთო ლიგას შერჩენილ ერთადერთ ქართველსაც სამშობლოსკენ ხშირ-ხშირად მოუწევს გული.

ზაზა ფაჩულიამ ჯერ კიდევ თებერვალში, ნბა-ს საოლსტარო არდადეგებზე მოასწრო თბილისში ჩამოსვლა და ახლაც, დასრულდა თუ არა რეგულარული ჩემპიონატი, უმალ საქართველოსკენ გამოემართა.

„რაც დრო გადის, უფრო მეტად მენატრებიან ჩემი ახლობლები. ადრე თუ მაქსიმუმ ორი კვირით ჩამოვდიოდი, ახლა ეს დრო ზღვაში წვეთია" — გვითხრა ზაზამ.

ფაჩულიას ახლობლებზე არანაკლებ შესტკივა გული საქართველოს ნაკრებზეც და, თუ A დივიზიონში გადასვლა ვერ მოვახერხეთ, თავს ვერავინ გაიმართლებსო, ფინეთთან მოახლოებულ თამაშს კი ყოფნა-არყოფნისას უწოდებს — ახლაც თუ ვერ მოვიგეთ, ჩვენი საშველი აღარ ყოფილაო...

ზაზა მალე შეუდგება ვარჯიშს და ეცდება, ფინელების დამარცხებით, რომლებიც მეორე ციკლია, სისხლს გვიშრობენ, ნაკრებს მომავლის იმედი დაუბრუნოს...

# როჯერ ცარიელი

## შვეიცარიული ყველისგან ნახვრეტიღა რჩება?

ჯერ მაინც ძნელია ასეთი თამამი ვარაუდების გამოთქმა, მაგრამ რაღაც ისეთი პირი უჩანს, დიადი შვეიცარიელის როჯერ ფედერერის ერთპიროვნულ ბატონობას ყავლი გასდის.

მარტში ამერიკულ მაგარსაფარზე ჩატარებულ ორ მასტერსზე როჯერმა ორჯერ რომ წააგო არგენტინელ გილერმო კანასთან, შემთხვევითობად მიიჩნიეს და, ეტყობა, კანასთან თამაშს აგდებულად მოეკიდაო, ითქვა.

მონტე კარლოს მასტერსის ფინალში რაფაელ ნადალთან მარცხი არავის გაჰკვირვებია — თიხნარზე ნადალთან წაგება რა სათაკილოა და ისედაც, ბოლო წლებში ფედერერი თუ მარცხდება, მხოლოდ ნადალთან და ისიც თიხნარზე.

რომის მასტერსიც გრუნტზე ტარდება და ქომაგები, შარშანდლის დარად, წლეულსაც ფედერერისა და ნადალის ფინალს ელოდნენ, მაგრამ... შვეიცარიელი მავანმა იტალიელმა, კარიერაში ოდენ ორი პატარა ტურნირის მომგებმა და რეიტინგში 45-ე ადგილზე მყოფმა ფილიპო ვოლანდრიმ 6:2 6:4 დაამარცხა.

დიდი ხანია, დაახლოებით სამი წელი იქნება, როჯერს ამ კალიბრის ჩოგბურთელთან არ წაუგია... ახლა პირწმინდად დამარცხდა...

ყველაფერს აქვს თავისი დასასრული და ჩანს, ფედერერაც სრულდება...



# ძოძუაშვილი და თურქები: გელ ბურია vs მაგრამ



ხმები დადის, რუსთავის „ოლიმპის“ მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი სეზონის ბოლოს გუნდს დატოვებსო და ამას კლუბის ხელმძღვანელობასა და მწვრთნელს შორის არსებულ უთანხმოებას უკავშირებენ. „მიხიჩას“ შესაძლო წასვლა „ოლიმპის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა მამუკა გუგეშაშვილმა „სარბიელთან“ ინტერვიუშიც დაადასტურა. თავად ძოძუაშვილმა კი გუშინ გვითხრა, არ არის გამორიცხული, ისევ „ოლიმპში“ დავრჩეო

— მთავარი ის არის, რა გეგმები ექნება „ოლიმპს“ ჩემპიონატის დასრულების შემდეგ. თუ გუნდს დიდი და ამბიციური მიზნების მიღწევა სურს, არ გამოვრიცხავ, რომ ისევ რუსთავულ გუნდში დავრჩე.

— ითქვა, რომ წინადადება გაქვთ თურქული კლუბიდან და გუნდს იმიტომ ტოვებთ...

— ერთ-ერთი თურქული კლუბიდან ნამდვილად მივიღე წინადადება, მაგრამ ყველაფერი „ოლიმპის“ ხელმძღვანელობაზე იქნება დამოკიდებული. თუ მათ მომავლის გუნდის შექმნა სურთ, მირჩევნია, საქართველოში დავრჩე.

— გუნდი ჩემპიონობისთვის იბრძვის, რატომ უნდა იყოს ხელმძღვანელობა თქვენით უკმაყოფილო?

— ვერაფერს გეტყვით და ჯერ არც მაქვს თქმის უფლება.

— თქვენს კონტრაქტს ვადა ეწურება?

— ვადა 6+6 თვეა. პირველი ნახევარი ახლა იწურება და ვადის გაგრძელებაც შეიძლება და შეწყვეტაც.

— ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურია დარჩენილი, როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება მოხდეს ამ სამ ტურში?

— ყველაფერი შეიძლება ერთმა მატჩმა შეცვალოს. გორში და ქუთაისში პრობლემები არ უნდა შეგვექმნას. ყველაზე რთული ბოლოსწინა ტურის მატჩი იქნება „ამერთან“. ვფიქრობ, ეს თამაში გადაწყვეტს ჩემპიონის ბედს. მაგრამ სამქულიანი უპირატესობა გვაქვს და ფინიშისკენ ეს ცოტა არ არის.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# აფერუმ კომანდოს
## არტილერია გოლებით დაიბომბა





**გუშინ** ვაზიანის პირველ ბრიგადაში დიდი სტუმრიანობა იყო. პატრიარქმა სამლოცველო აკურთხა და ჯარისკაცები დალოცა.

სპორტული თვალსაზრისით კი გუშინდელი სამხედრო ამბები სამლოცველოს კურთხევის მერე ჩატარებული ფეხბურთის მატჩით იყო საინტერესო. პირველმა ბრიგადამ საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში გმირულად დაღუპული ზაზა დამენიას სახელობის ტურნირი ჩაატარა, რომლის ფინალიც პატრიარქის სტუმრობის მერე გაიმართა.

თასისთვის ბრძოლაში კომანდოს ბატალიონმა არტილერისტებს 5:0 მოუგო. სპორტულ ჟურნალისტებს კი ამ თამაშში სხვა რამ გვენიშნა: ვაზიანის სამხედრო ბრიგადის სტადიონი, თავისი ტრიბუნითა და განათებით, ბარე ორი ქართული გუნდისთვის სანატრელია.

და ერთიც, რაც ნამატჩევს საგანგებოდ აღინიშნა: გამარჯვებულ კომანდოსებს ქართული საწარმო „საროს“ შეკერილი და ჯარისკაცებისთვის „ამერის“ ნაჩუქარი ფორმა ემოსათ.


საქართველოს თასის ყაზბეგის გათამაშების ფინალი

26 მაისი ეროვნული სტადიონი

ამერი vs ზესტაფონი

www.pfl.ge

დასაწყისი 20:00 საათზე - ბილეთის ფასი 2, 3, 5 ლარი

მთავარი სპონსორი — GEOCELL

ოფიციალური სპონსორი — ფოლკსვაგენი VOLKSWAGEN

პარტნიორი — აქსისი

სპონსორები — BANK OF GEORGIA; i'm lovin' it

საინფორმაციო მხარდაჭერა — სარბიელი; ოლიმპი; 104.9 FM FORTUNA ფორტუნა; 11×11; 24 Hours


# ღია წერილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომს

ბატონებო! მოგმართავთ გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო კრების ის დელეგატები, რომლებიც დავესწარით ამ ღონისძიებას და მონაწილეობა მივიღეთ მის მუშაობაში.

ჩვენი უზომო გაკვირვება და აღშფოთება გამოიწვია მასმედიის საშუალებებით გავრცელებულმა ინფორმაციამ, როგორც გაირკვა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივით, თითქოსდა კრების დელეგატებმა არ ვიცოდით დღის წესრიგი და გაფრთხილებული არ ვიყავით. ეს ბრალდება არა მარტო სიცრუეა, არამედ ჩვენთვის უდიდესი შეურაცხყოფაა. გამოდის, რომ ჩვენ, რვა ადამიანი ბრმად და დაუფიქრებლად იქით მივდივართ, საითკენაც დაგვიძახებს გრფფ-ს პრეზიდენტი ბატონი დურმიშხან ჩხაიძე. უბრალოდ, წარმოდგენაც ძნელია, იმ ყიამეთ ამინდში დავტოვეთ ოჯახები, მივედით გამგეობის შენობაში, დავესწარით კრებას, არ ვიცოდით, დღის წესრიგი, არ ვიცოდით რისთვის მივედით...

კარგი, დავუშვათ, ჩვენ ზომბები ვართ და უაზროდ დავდივართ, მაგრამ თვითონ სფფ-ს ოთხი წარმომადგენელი რატომ შეწუხდა ლანჩხუთში ჩამობრძანებით, ანდა რატომ ჩამოვიდნენ ჩვენი ოპონენტი დელეგატები, თუკი არავინ არაფერი იცოდა. როგორც გაირკვა, თბილისიდან ჩამოსული სტუმრების ვიზიტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის მიერ სათანადო რწმუნებით არ იყო გამაგრებული. ხოლო ზოგიერთის პროვოკაციული ქმედებებით ნათლად დადასტურდა მობრძანების მთავარი მიზანი — რადაც უნდა დაჯდომოდათ, ჩაეშალათ გრფფ-ს საანგარიშო-საარჩევნო კრება.

ვერანაირად ვერ ვხვდებით, ყოველივე ამის შემდეგ რატომ არავინ დაინტერესდა ჩვენი პერსონებით, არავინ გვეკითხება, რა იყო, რა მოხდა. გამოდის, რომ ჩვენ საერთოდ არ ვარსებობდით. არადა, ჩვენ მოუთმენლად ველოდით თბილისიდან კომპეტენტური ადამიანების ჩამოსვლას, რომლებიც საფუძვლიანად შეისწავლიდნენ ამ გახმაურებულ ისტორიას და დაადგენდნენ სიმართლეს. რამდენი საინტერესო საკითხი გაირკვეოდა — თუ ვინ გვაკითხავდა კრების წინა დღეებში, ვინ გვირეკავდა, რომ კრებაზე არ მივსულიყავით, ვინ რა მეთოდით აკეთებდა ჩვენზე ზეწოლას და მრავალი სხვა. სფფ-მ კი, კრების დამთავრების შემდეგ, რამდენიმე საათში კიდეც გამოიკვლია, კიდეც წამოაყენა, კიდეც გაასამართლა, კიდეც განაჩენი გამოუტანა ჩვენს ორგანიზაციას. შესაშური ოპერატიულობაა...

როგორც გავიგეთ, 12 მაისს დანიშნულია სფფ-ს აღმასკომის სხდომა, სადაც სხვა საკითხებთან ერთად განიხილება გრფფ-ს უფლებამოსილების შეჩერების საკითხი.

ბატონებო! კიდევ ერთხელ მოგმართავთ, რომ იცოდეთ — ყველაფერი ეს არის შეთითხნილი სიცრუე, მიმართული მხოლოდ იქითკენ, რომ ხმა დაეკარგოს ჩვენს კანდიდატს სფფ-ს პრეზიდენტობის პოსტზე ბატონ გიორგი ნემსაძეს. არადა, რა არის ამაში გასაკვირი, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ ბატონ გიორგი ნემსაძეს. ჩვენ ჩვენი აზრი გაგვაჩნია. არჩევნები სწორედ არჩევის საშუალებას გვაძლევს. ნუთუ ამიტომ დასაშვებია ვინმესგან მტრის ხატის შექმნა და მისი განადგურება?! ნუთუ ის სუბიექტები გვჯობნიან ჩვენ, ვინც ყველა მხარეს თამაშობენ და ყველა კანდიდატს ელაქუცებიან?! როგორ, ჩვენი პოზიცია ახლა გაიგო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ?! ჩვენ ხომ ყოველთვის გიორგი ნემსაძის გვერდით ვიდექით, როგორც ის იდგა ჩვენ გვერდით. ხოლო რაც შეეხება რამდენიმე დელეგატის დემარშს, უფალმა განსაჯოს მათი ქმედების სამართლიანობა.

ბატონებო! ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, ვინ ხართ თქვენ, ვიცით თქვენი დამსახურება ქართული ფეხბურთის წინაშე და ამიტომაც იმედს ვიტოვებთ, რომ თქვენ ამ საკითხს განიხილავთ სამართლიანად და თქვენი გადაწყვეტილებით კიდევ ერთ ტრადიციულ საფეხბურთო კერას არ ჩააქრობთ.

ღრმა პატივისცემით, გრფფ-ს საანგარიშო-საარჩევნო კრების დელეგატები: კახა გუჯაბიძე, იაკობ ზაქარეიშვილი, თემურ ლორია, ირაკლი ფაცურია, დავით იმნაძე, ჯამბულ კუტალაძე, ბენია თავბერიძე, მევლუდ გოგუაძე.

**P.S.** ბატონებო! გთხოვთ, ერთი რამაც გაითვალისწინოთ: რაც ბატონმა დურმიშხან ჩხაიძემ გააკეთა ქართული ფეხბურთის კეთილდღეობისთვის, იმის ხუთი პროცენტი რომ გაეკეთებინათ მის ოპონენტებს, ქართული ფეხბურთი ასეთ სავალალო დღეში არ იქნებოდა...

### ინგლისი
პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
ტოტენჰემი 1:1 ბლეკბერნი

### ესპანეთი
თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი
ხეტაფე 4:0 ბარსელონა (2:5)

### ჰოლანდია
უეფას თასის
პლეი ოფი. I მატჩი
გრონინგენი 2:1 ფეიენოორდი
ინტერტოტოს თასის
პლეი ოფი. I მატჩი
სპარტა 1:1 ნაიმეგენი

### გერმანია
ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XXXIII ტური
ჰამბურგი (მ) 4:2 ოსნაბრიუკი

### საფრანგეთი
I დივიზიონი. XXXVI ტური
ტულუზი 0:1 ლე მანი

### შვედეთი
სუპერეტა. V ტური
დეგერფორსი 1:2 ატვიდაბერგი

### რუმინეთი
I ლიგა. XXXI ტური
გლორია 1:0 პოლიტეხნიკა

### ნორვეგია
ტიპელიგა. VI ტური
სტარტი 1:0 ვოლერენგა

### ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატი
UNDER-17 Championship
ნახევარფინალი
ესპანეთი 1:1 (7:6პენ) ბელგია
ინგლისი 1:0 საფრანგეთი



# პოლიცია, პოლიცია...
## დამტვრეული სკამის ისტორია

**ფეხბურთის** ფედერაციის მესამე ყრილობა და მეორე საპრეზიდენტო არჩევნები 1994 წლის 17 სექტემბერს „დინამოს“ სტადიონის ოსტატთა კლუბში შედგა და, ოთხი წლის წინანდელი დამფუძნებელი ყრილობისა არ იყოს, ისიც დიდი ხმაურით ჩატარდა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ყრილობაზე პოლიციელები გამოიძახეს, ფედერაციის ხელმძღვანელობის ოპოზიციონერებმა კი იქაურობა ნაადრევად დატოვეს. ისინი ავთანდილ ჭკუასელის დაკრძალვაზე წავიდნენ. სხვებმა ეს ვერ მოახერხეს, რადგანაც ყრილობა თითქმის ოთხ საათს გაგრძელდა და ამ დამსახურებული ფეხბურთელისთვის უკანასკნელი პატივის მისაგებად დრო ვეღარ გამონახეს.

შეგახსენებთ, ეს ის პერიოდია, როცა საქართველოს ნაკრებმა თავისი პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა და თბილისში მოლდოვასთან 0:1 წააგო. პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცისა და მისი გუნდის მოწინააღმდეგეებმა, ცხადია, ამ ფაქტით ისარგებლეს და ფედერაციას მაგრად შეუტიეს. მთავარი დამრტყმელი ძალა იმხანად „დინამოს“ ტექნიკური დირექტორი ვაჟა ჟვანია იყო, მის გარდა კი „სამტრედიას“ მწვრთნელი მურთაზ ხურცილავა და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი აქტიურობდნენ. ვეტერან ფეხბურთელ ვლადიმერ ბარქაიას კი, რომელიც ასევე ოპოზიციონერთა ბანაკში იყო და საპრეზიდენტო კანდიდატურის წამოყენებასაც აპირებდა, ყრილობისთვის შეუთვლია, მანდ რა მინდა, მთელი ქართული ფეხბურთი უკვე პრივატიზებულიაო.

17 სექტემბრის ყრილობას 207 დელეგატიდან 167 დაესწრო და როგორც მანამდე, ფედერაციის გენმდივანი დავით კვინიკაძე უძღვებოდა. მაშინდელი „სარბიელი“ კი წერდა:

„დარბაზში თბილისის „დინამოს“ ტექნიკური დირექტორი ვაჟა ჟვანია წამოიმართა და დელეგატთა სრული სია მოითხოვა. ბევრისთვის გასაოცრად, მრავალნაცადი გენერალური მდივანი აშკარად დაიბნა, ხმას აუწია და ჟვანიასთან კამათს მიჰყო ხელი. როგორც გაირკვა, ჟვანია ეჭვქვეშ აყენებდა ამ ყრილობის უფლებამოსილებას, დელეგატის მანდატები არაკანონიერად განაწილდაო. აქ ბატონ ვაჟას ამჟამად „სამტრედიას“ მთავარი მწვრთნელი მურთაზ ხურცილავა გამოექომაგა, მაგრამ თავმჯდომარის დაფუცხუნებამ („რა არის აქ არაკანონიერი?!“) და დამსწრე პირმოთნეთა უკმაყოფილო გუგუნმა იგი ადგილზე დააბრუნა. ამასობაში კი ჟვანია უკვე ტრიბუნაზე იდგა და უეფას ერთ-ერთი ნორმატიული აქტის წაკითხვა დაიწყო — თურმე ფედერაციას არაფრით არ ეკუთვნის საზღვარგარეთ ფეხბურთელის გაყიდვისგან მიღებულ თანხის 10 პროცენტი, რასაც „ადგილი ჰქონია“, კერძოდ, გია გურულის გადასვლისას. აქ დარბაზში მსხდომმა არაოპოზიციონერებმა უმალ რუსული დაივიწყეს და ვინაიდან ნორმატიული აქტი რუსულად იყო, ჟვანიას მისი წაკითხვა აუკრძალეს. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში კვინიკაძე მიკროფონის დაბრუნებას ითხოვდა და საქმეში მეპულტეც კი ჩარია, მაგრამ ამ უკანასკნელს იქ ხმას ვინ ამოაღებინებდა და მიკროფონიც ჟვანიას დარჩა. მან დახმარებისთვის ყრილობაზე სტუმრად მოწვეულ პარლამენტის სპორტის კომისიის თავმჯდომარეს ბეჟან ხურციძეს მიმართა — გამაგებინეთ, როდემდე გაგრძელდება ეს უკანონობაო. ხურციძეს კვინიკაძემ დაასწრო და თქვა: თუ რაიმე უბედურება ჩავიდინეთ, ესე იგი, ამის უფლება გვქონდაო (?!). ამაზე კვლავ აღშფოთდა ხურცილავა და დაიყვირა: ვინც აქ ზის, ნახევარი ფეხბურთის მტერიაო. თავმჯდომარემ გაიხსენა, რომ ყრილობა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ბოლომდე უნდა მიეყვანა და უკანა რიგებში ვილაცას გასძახა — პოლიციის სამმართველოდან მოვიდნენ ამხანაგებიო. აქ ისევ კვინიკაძე-ჟვანიას გადაძახილმა მიიპყრო დამსწრეთა ყურადღება: „ამხანაგო ვაჟა!“ „მე არა ვარ თქვენი ამხანაგი!“ „მაშინ, მეგობარო ვაჟა!“ და მისთანები“.

...შემდეგ ყრილობაზე შესვენება გამოცხადდა. კამათმა და დავიდარაბამ კულისებში გადაინაცვლა. საქმის გარჩევა ლამის ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა. კახი ასათიანი და მისი მომხრეები დარბაზში აღარ შებრუნებულან, დაკრძალვაზე წავიდნენ.

„ის იყო, თავმჯდომარემ და უმრავლესობამ შვებით ამოისუნთქეს — ავიწყეთ ცხოვრებაო, რომ აღმოჩნდა: ოპოზიციას თავისი წარმომადგენელი დარბაზში კვლავ დაეტოვებინა, თან ვინ! ვაჟა ჟვანია! მან არც აცია, არც აცხელა და პრეზიდიუმში კვინიკაძეს გვერდით მიუჯდა. ამაზე სულ გადაირია გენერალური მდივანი და იყვირა: ხომ ვთქვი, პოლიცია მოიყვანეთ-მეთქი. ჟვანიამ მიუგო, გამეცით პასუხი, რატომ აიღეთ გურულის ტრანსფერიდან 10 პროცენტი, როცა ეგ ფული კლუბს ეკუთვნოდაო. თავმჯდომარის რეპლიკაზე — თქვენ ცრუობთ, ჟვანიამ ამ სიტყვების დოკუმენტურად გაფორმება ისურვა, რაც ფედერაციის გენსეკმა უმალ შეუსრულა. ჟვანიაც ცოტა ხანი კიდევ იჯდა, მერე მოსწყინდა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, კომკავშირული კრება და დარბაზი დატოვა“ — წერია „სარბიელში“.

დარბაზში აღარც ვაჟა ჟვანია იყო, აღარც ოპოზიციის სხვა აქტივისტები. ბურთი და მოედანი ფედერაციას დარჩა და საქმეც აღარ გაჭიანურებულა. ათიოდ წუთში ფედერაციის მომხრე დელეგატებმა ყველაფერი მოამთავრეს. ფედერაციის პრესცენტრის უფროსმა ჯემალ ჭიპაშვილმა ნოდარ ახალკაცის საპრეზიდენტო კანდიდატურა წამოაყენა და ვიდრე კენჭისყრა დაიწყებოდა, სიტყვა თავად ახალკაცმა ითხოვა. პირველი ყრილობის დასახული ამოცანები შევასრულე და ახლა თქვენი ნებაა, ამირჩევთ თუ არა. ისე, რომ იცოდეთ, სავარძელს არ ვებღაუჭები და ნებისმიერს დავუთმობ ჩემს ნახევრად დამტვრეულ სკამსო — თქვა ახალკაცმა.

ის იყო, დელეგატებს მანდატები უნდა აეწიათ, რომ...

„ამ დროს დარბაზში ჟვანია დაბრუნდა და „დინამოს“ დირექტორატისა და მთავარი მწვრთნელის სახელით ყრილობას აუწყა, რომ ქვეყნის ხუთგზის ჩემპიონი წყვეტდა სფფ-ს ეგიდით ჩატარებულ ნებისმიერ ტურნირში გამოსვლას. დარბაზში მყოფ საზოგადოებაზე არც ამან გაჭრა. ის კი არა, ჟვანია სიცილით გაისტუმრეს — რას ლაპარაკობ, ხომ დავიღუპეთო. იქვე არჩევნებიც ჩატარდა და 129 მხარდამჭერის წყალობით ახალკაცმა კიდევ ოთხი წლით დაიბევა ფედერაციის პრეზიდენტობა“.

# ახალკაცის მერე — ჟორდანია — ახალკაცამდე

**1998 წლის** 25 იანვარს მოსკოვში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი გარდაიცვალა. ფედერაციას ახალი პატრონი სჭირდებოდა. 1998 ისედაც საყრილობო-საარჩევნო წელი იყო და მოვლენები აღარ დაჩქარებულა, ყრილობა წლის ბოლოსკენ, 24 ოქტომბერს დაინიშნა. იქამდე კი ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობას ალექსანდრე ჩივაძე ასრულებდა, ვინც ახალკაცისას ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ.

ამ ყრილობამ უწინდელებზე დიდხანს, თითქმის რვა საათს გასტანა, რკინიგზელთა კულტურის სახლში ჩატარდა და პრეზიდენტობისთვის ერთშაბად ოთხი კანდიდატი იბრძოდა: ალექსანდრე ჩივაძე, „დინამოს“ პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, ვეტერანი ფეხბურთელი ილია დათუნაშვილი და ბეისბოლის ფედერაციის პრეზიდენტი რამაზ გოგლიძე. წინა ორისგან განსხვავებით, ყრილობას ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ნოდარ ანდრიაძე თავმჯდომარეობდა, ხოლო გენმდივანმა დავით კვინიკაძემ დარბაზში გადაინაცვლა. რკინიგზელთა სახლში ტევა არ იყო, პლეხანოვზე მოძრაობაც კი შეფერხდა, საფეხბურთო სამყარო ახალ პრეზიდენტს ელოდა.

ფეხბურთის ფედერაციამ 272 საყრილობო მანდატი გაანაწილა, საქმეში იუსტიციის სამინისტროს ჩარევის შემდეგ კი ხმოსანთა რაოდენობა 245-მდე შემცირდა.





წინა ყრილობებისგან განსხვავებით ამჯერად დიდი ხმაური არ ყოფილა, თუმცა ტრიბუნასთან პროკურორ ზურაბ ცინცაძის მისვლამ დარბაზში აჟიოტაჟი მაინც გამოიწვია. კერძოდ, პროკურორმა ცოტა ფედერაციისა და ბევრიც თბილისის „დინამოს“ ფინანსურ დარღვევებზე საკმაოდ მკაცრი ტონით ილაპარაკა. პრეზიდენტობის ყველაზე რეალური კანდიდატები კი სწორედ ფედერაციისა და „დინამოს“ ხელმძღვანელები იყვნენ. ცინცაძეს მერაბ ჟორდანიას მომხრეები მურთაზ ხურცილავა და კახი ასათიანი გამოეხმაურნენ — ეს კაცი მოგზავნილია, თუ რამე დარღვევები იყო, აქამდე ეთქვა, რაღა ყრილობაზე ამბობსო. ასათიანი უფრო შორს წავიდა და ფედერაციის სატელევიზიო კონტრაქტებზე ისაუბრა. ჩვენმა ფეხბურთმა სატელევიზიო უფლებების არასწორად გაყიდვით 4 მილიონი გერმანული მარკა დაკარგაო. ასათიანის თქმით, ფედერაციას საფინანსო ბირჟაზე მილიონი დოლარიც დაუტრიალებია, მოგებად კი მხოლოდ 31 ათასი აჩვენესო. აქვე ფედერაციის მაშინდელი საექსპერტო კომიტეტის თავმჯდომარის თემურ კვახაძის გამოსვლაც გავიხსენოთ. მან თქვა, რომ ოთხ წელიწადში ფედერაციის შემოსავალმა 6 691 766 ლარი შეადგინა, ხარჯი კი 1 763 246 ლარი იყოო. დანარჩენი თანხა სად წავიდა, ყრილობაზე არაფერი უთქვამთ.

ყრილობაზე სიტყვით 20-მდე დელეგატი გამოვიდა და თავთავიანთი კანდიდატების სასარგებლოდ ილაპარაკეს. ხოლო როცა საქმე ფედერაციის წინა აღმასკომის საქმიანობის შეფასებაზე მიდგა და ხმათა უმრავლესობით აღმასრულებელი კომიტეტის საქმიანობა უარყოფითად შეფასდა, ალექსანდრე ჩივაძემ თავისი საპრეზიდენტო კანდიდატურის მოხსნა გადაწყვიტა. თუმც მოგვიანებით, მხარდამჭერებთან კონსულტაციების შემდეგ, გადაიფიქრა და...

პრეზიდენტის არჩევნები საათნახევარს გაგრძელდა. ხმის მიცემა ფარული კენჭისყრით ჩატარდა და 235-მა დელეგატმა მიიღო მონაწილეობა: რამაზ გოგლიძე — 23, ილია დათუნაშვილი — 44, ალექსანდრე ჩივაძე — 56, მერაბ ჟორდანია — 112.

ხმათა უბრალო უმრავლესობა პრეზიდენტობისთვის არ კმაროდა და ამიტომაც არჩევნების მეორე ტური დაინიშნა, პრეზიდენტობის კანდიდატებად ჩივაძე და ჟორდანია დარჩნენ. მეორე ტური კი აღარ ჩატარებულა — ასეთი ჩამორჩენის შემხედვარე ჩივაძემ კანდიდატურა მოხსნა და მერაბ ჟორდანიას ფედერაციის პრეზიდენტობა პირველმა მიულოცა.

ბევრის აზრით, ფეხბურთის ფედერაციის ეს ყრილობა, რომელიც რიგით მეოთხე იყო, ყველაზე ობიექტურ-დემოკრატიული გამოდგა. მომდევნო ოთხი წლით ქართულ ფეხბურთს მერაბ ჟორდანია გაუძღვა...

**კობა ინასარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კაიზერი უსიკვდილოდ უნდა მოვკლათ!

## მიხეილ აშვეთია რუსეთში ბრუნდება, გიორგი ლომაია დუისბურგს გადააყოლეს





**გიორგი ლომაია-მიხეილ აშვეთიას** „კარლ ცაისს“ გადამწყვეტი მატჩების დრო დაუდგა — იენელები მეორე ბუნდესლიგაში ბოლოდან მეოთხე ადგილზე არიან და თუ სწორედ ამ საფეხურზე დაამთავრეს ჩემპიონატი, რეგიონალლიგაში ჩაეშვებიან. კვირას ქართველების გუნდი „კაიზერსლაუტერნს“ მასპინძლობს და დიდწილად ეს მატჩი გადაწყვეტს დარჩენა-გავარდნის საკითხს.

აშვეთია ტრავმირებული იყო, თუმც ბოლო ტურში „ბურგჰაუზენთან“ 18-კაციან განაცხადში გამოჩნდა. მიხომ გვითხრა, „კაიზერთან“ აუცილებლად ვითამაშებო...

„ჯანზე ვარ და მწვრთნელმა ფრანკ ნოიბარტმა მითხრა, „კაიზერთან“ ძირითადში იქნებიო. მთელი იენა ამ თამაშს ელოდება, უსიკვდილოდ უნდა მოვიგოთ. სამწუხაროდ, წინა ტურებში დასანანი ქულები დავკარგეთ: „დუისბურგთან“ 3:0 ვიგებდით და ბოლოს 3:3 დამთავრდა, „ბურგჰაუზენმა“ კი ბოლო წუთზე კუთხურიდან გაგვიტანა და 1:1-ს დავჯერდით. საშინლად არ გაგვიმართლა, თორემ ისე ნორმალურად ვითამაშეთ“.

„კარლ ცაისი“ მასზე წინ მდგომებს, „ესენსა“ და „ოფენბახს“ ოდენ ბურთების შეფარდებით ჩამორჩება — ცხრილში ისეთი ვითარებაა, რომ ამ სამი გუნდიდან ერთი უნდა გავარდეს.

„ბოლო ტურში „აუგსბურგთან“ გავდივართ, რომელიც ცხრილის შუაშია და ქულები არაფერში სჭირდება, „კაიზერსაც“ ჩაუკვდა ბუნდესლიგაში გადასვლის იმედი, თუმც ბრძოლაა საჭირო, მოგებას არავინ გაჩუქებს. ისე, „ოფენბახსა“ და „ესენს“ ბოლო ტურში ჩვენზე ძნელი მატჩები აქვთ“.

ქართველების გუნდს გაცილებით რთულად ჰქონდა საქმე, სანამ იქ ფრანკ ნოიბარტი არ გათავკაცდებოდა. „ნოიბარტის ხელში თამაში არ წაგვიგია, მან მართლაც დაალაგა გუნდი და კარგ ფეხბურთს გვათამაშებს. მარტო ფრაიბურგში მოგება რად ღირდა“ — აღნიშნა აშვეთიამ.

აშვეთიასაც და ლომაიასაც სეზონის ბოლომდე აქვთ „კარლ ცაისთან“ კონტრაქტი. თუ იენელები გავარდებიან, ქართველები ავტომატურად დატოვებენ გუნდს, მაგრამ თუ ადგილს შეინარჩუნებენ...

„არა მგონია, აქ დავრჩე. მართალია, გერმანიაში ვარ, მაგრამ მაინც მეორე ბუნდესლიგაა. სავარაუდოდ, რუსეთში დავბრუნდები, მით უმეტეს, რაღაც წინადადებები მაქვს. გუნდის სახელს ჯერ ვერ გეტყვით, თანაც, სანამ სეზონი არ დასრულდება, ტრანსფერზე არ ვფიქრობ. „კარლ ცაისზე“ ვარ გადართული“ — გვითხრა მიხომ.

გიორგი ლომაიასაც დავუკავშირდით, რომელსაც გერმანიაში თავიდან კარგი პრესა ჰქონდა, „დუისბურგთან“ სამი გოლის გაშვების შემდეგ კი პოპულარულ „კიკერში“ ეწერა, ქართველ გოლკიპერს კრიზისი აქვს, განსაკუთრებით არადამაჯერებლად კი გამოსვლებზე თამაშობსო.

„ერთი თამაში ჩავაგდე, „დუისბურგთან“ ვერ ვითამაშე კარგად. თუმცა მწვრთნელი მენდობა და წინა ტურში „ბურგჰაუზენთან“ ნორმალურად ვითამაშე. გაშვებული გოლი ჩემი ბრალი არ იყო, პირიქით, მეორე ტაიმში რამდენიმე ძნელი ბურთი ავიღე“ — გვითხრა ლომაიამ.

და რას აპირებს საქართველოს ნაკრების მეკარე „კარლ ცაისის“ არგავარდნის შემთხვევაში? გიორგის ჯერ არ გადაუწყვეტია წასვლა-დარჩენა, ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ავწონ-დავწონიო...

„კონტრაქტის გაგრძელება ჯერ არ შემოუთავაზებიათ და ახლა კლუბის ხელმძღვანელობას საამისოდ არც სცალია — მთლიანად დარჩენილ ორ ტურზე ფიქრობენ“.

**ილია ნანოგაშვილი**

# აღმოსავლეთში სიტყვას ტკბილი უყვართ



აზერბაიჯანის ჩემპიონატის ბოოლო ტურში შარშანდელი ჩემპიონი „ბაკი“, რომელშიც ალექსანდრე გოგობერიშვილი და ამირან მუჯირი თამაშობენ, თანაქალაქელ „ნეფთჩისთან“ 0:1 დამარცხდა და ჩემპიონობას გამოეთხოვა. თუმც ჩვენს სამეზობლოში ქართველი მაინც იჩემპიონებს: ან „ნეფთჩის“ ნახევარმცველი გიორგი ადამია, ანაც ლენქორანის „ხაზარის“ მცველი ვალერი აბრამიძე. ახლა „ნეფთჩი“ ქულით უსწრებს მეტოქეს და ჩემპიონობა არ უნდა გაუჭირდეს, მაგრამ, კლუბის ვებგვერდის აზრით, თუ ადამია მალე არ გამოჯანმრთელდა, ძნელი ბრძოლების გადატანა გველისო. ჩვენებური კი უკვე ორი ტურია, უქმობს — სტამბოლში მკურნალობს...

— კუნთი მაქვს გაწყვეტილი და აქ ვმკურნალობ — გვამცნო გუშინ გიორგიმ სტამბოლიდან — სამ-ოთხ დღეში ალბათ ვარჯიშს განვაახლებ, თუმც ერთი თამაშის გამოტოვება კიდევ მომიწევს. შემდეგ „ოლიმპიკს“ ვხვდებით და მინდა, იმ თამაშისთვის ფორმაში ვიყო — თუ მოვიგეთ, ჩემპიონები გავხდებით, ბოლო ტურში იოლი მეტოქე გვყავს.

— ბოლო მატჩი „ბაკის“ მოუგეთ. „ოლიმპიკი“ მასზე ძლიერი გუნდია?

— შარშანდელთან შედარებით, „ბაკი“ წლეულს ვერ ყოჩაღობს, მაგრამ მათთან ძალიან ძნელი თამაში გვქონდა. ტელევიზორით ვუყურე და ერთი სული მქონდა, როდის დამთავრდებოდა. „ბაკის“ კიდევ ჰქონდა ჩემპიონობის შანსი.

— აზერბაიჯანული პრესა საუკეთესო ლეგიონერის ნომინანტებში შენ, ალეკო გოგობერიშვილს და ვალერი აბრამიძეს მოგიხსენიებთ...

— ჩემზე არაფერს ვიტყვი, გოგობერიშვილს და აბრამიძეს მართლაც კარგი სეზონი ჰქონდათ. აბრამიძე „ხაზარის“ დაცვის ლიდერია და ამ გუნდის თავდამსხმელებს მეტი რომ ეყოჩაღათ, შესაძლოა, ახლა მდევრის როლში ჩვენ ვყოფილიყავით. მე კიდევ ერთ ქართველს — ლექსო ინწკირველს დავამატებდი — მასაც კარგი სეზონი ჰქონდა.

— შენ ბომბარდირობაც შეგეძლო...

— ლენქორანელ რამაზანოვს 14 ბურთი აქვს გატანილი და ოთხით ჩამოვრჩები. ამის ამოქაჩვა ძნელი იქნება, მით უფრო, ერთ თამაშს ვტოვებ, თუმც ჩემი პრიორიტეტი ბომბარდირობა არ ყოფილა — მე ნახევარმცველი ვარ, ის თავდამსხმელი. 10 ბურთიც შესანიშნავ შედეგად მიმაჩნია ჩემი ამპლუისთვის.

— რაც გაგაქვს, თითქმის ყველა ლამაზი გოლია, ყოველ შემთხვევაში, აზერბაიჯანელები ასე ამბობენ...

— ტექნიკურობის წყალობით ქართველებს ასეთი რამეები კარგად გამოგვდის, მათთვის კი ცოტა უცხოა, იმიტომაც ყველა გოლზე შედევრს ან ფანტასტიკურს იძახიან, არადა, ჩვეულებრივი გოლებია.

— ზამთრის შესვენებისას სხვაგან გადასვლას აპირებდი...

— კონტრაქტი ერთი წლით გავაგრძელე, ასე რომ, ჯერ არსად წასვლას არ ვაპირებ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**




ლევან ყენია ვარჯიშობს და ელის...

# ლევანი ლიოვმა და ბირჰოფმა ნახეს

**ლევან ყენია** კვლავ „შალკეს“ 19-წლამდელთა გუნდში ვარჯიშობს. დაიტოვებენ თუ არა გელზენკირხენელები მომავალ სეზონში ყენიას, ეს ხვალ გაირკვევა — ლევანის ბიძამ, თბილისის „ლოკომოტივის“ თავკაცმა გიორგი კიკნაძემ გვითხრა, გერმანელები 12 მაისს გვეტყვიან პასუხსო.

სხვათა შორის, გუშინ „შალკე U 19“-ის ვარჯიშს გერმანიის ნაკრების მწვრთნელი იოახიმ ლიოვი და მენეჯერი ოლივერ ბირჰოფი სტუმრობდნენ.

„შალკეს“ 19-წლამდელებში ბევრი უცხოელი თამაშობს, მათ შორის თურქი ყმაწვილები სჭარბობენ — საინტერესოა, რომ მესუტ იოზილი, რომელიც ბოლო ტურებში მთავარი „შალკეს“ ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდა, სწორედ „შალკე U 19“-დან აიყვანეს.

**ილია ნანოგაშვილი**

# გელაშვილს პასუხს გამოუგზავნიან

**ბელგიაში** გასინჯვაზე მყოფი „ვიტ ჯორჯიას“ თავდამსხმელი ნიკოლოზ გელაშვილი ხვალ საქართველოში ბრუნდება. ქართველი ფორვარდი ბენილუქსიდან გადაჭრილი პასუხით ვერ მოდის — როგორც „ვიტ ჯორჯიადან“ გვაცნობეს, გელაშვილი „ბრიუგეს“ პასუხს აქ დაელოდება.

საბოლოო ამბავს გელაშვილზე და მის კონკურენტ ალანდსონ და სილვაზე ვერც „ბრიუგეს“ ვებგვერდში წავაწყდით და, ეტყობა, ყველაფერი ისევ მწვრთნელ გერტ ვერჰეინზეა დამოკიდებული.

**იყიდება**

6 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ნუცუბიძის IV მ/რ ახლოს, სოფელ-აგარაკთან, მუხათწყაროს გზის ნაპირზე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 893 42-74-94

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნუ ვილაპარაკებთ ასტრონომიაზე...



„ბარსელონა“ კვლავ ცდილობს ტიერი ანრის შეძენას. კატალონიური გრანდის უფროსობა ახალი სეზონისთვის გუნდის შესანიშნავი ფრანგით გაძლიერებას აპირებს, თუმცა არა ნებისმიერ ფასად — პრეზიდენტი ხუან ლაპორტა ამ ტრანსფერს მხოლოდ მაშინ განახორციელებს, თუ „არსენალმა“ ზედმეტად ბევრი არ მოითხოვა.

შეგახსენებთ, რომ 2006 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდგომი მოულოდნელი განცხადებით ფრანგმა „ბარსა“ შოკში ჩააგდო — მაშინ კატალონიელებს ანრისთან ხელშეკრულება თითქმის უკვე გაფორმებული ჰქონდათ, თუმცა... „ბარსელონა“ — „არსენალის“ ფინალის მერე ტიერიმ თქვა, ლონდონში ვრჩები და კონტრაქტი 2010 წლამდე გააახანგრძლივა.

დღეს კი კატალონიელები ისევ ნადირობენ ანრიზე. ბარსელონური გაზეთები წერენ, რომ გუნდისთვის, რომელსაც ყველაფრის მოგება უნდა, ტიერისნაირი ჯადოქრის შემატება ზედმეტი ნამდვილად არ იქნება.

„სპორტი“ ამტკიცებს, რომ „ბარსა“ ასტრონომიული თანხის გადახდას არ აპირებს — ლაპორტა მზადაა, „მეთოფეებს“ 15 მილიონი ევრო შესთავაზოს.

ანრის მიერ „არსენალთან“ კონტრაქტის გახანგრძლივებამ „ბარსელონას“ სატრანსფერო გეგმები გაურთულა. თუ შარშან ლონდონური კლუბი, ფეხბურთელის სურვილის გათვალისწინებით, თითქმის იძულებული იყო, ანრი კატალონიელთათვის მიეყიდა, დღეს ლონდონელებს მიწაზე ფეხი მყარად უდგათ.

„არსენალი“ ამ რამდენიმე ხნის წინ ვიცე-თავმჯდომარემ დევიდ დინმა დატოვა. დინი კლუბის ახალ, ამერიკელ მფლობელებს ვერ შეუთანხმდა და წავიდა. ლონდონური მედიის ცნობით, დინს შეიძლება „მეთოფეთა“ დამრიგებელი არსენ ვენგერიც მიჰყვეს. ვენგერს 2008 წლამდე აქვს კონტრაქტი, თუმცა დინის მსგავსად, მასაც ცუდი ურთიერთობა აქვს პატრონებთან.

„თუ ვენგერი წავიდა, ტიერი ანრიც აღარ გაჩერდება „არსენალში“ და ალბათ „ბარსაზეც“ იფიქრებს“ — წერს „სპორტი“.

**ლადო ხომერიკი**

## ეტოოს მუშტარი

**სამუელ ეტოოს** მუშტარი არ ელევა — ხან „მილანში“ გადაჰყავთ, ხან „არსენალში“, ხან „ჩელსიში“ და ხანაც „ლივერპულში“. ახლა კი „მანჩესტერიც“ გაერია მსურველებში. „დეილი მეილის“ ცნობით მანჩესტერელები „ბარსელონას“ 27 მილიონ გირვანქას შესთავაზებენ კამერუნელის სანაცვლოდ. ამ საქმის მოგვარახჭინებას სუპერაგენტ პინი ზაჰავის დაავალებენ, რომლის შვილიც „ბარსელონას“ ახალგაზრდულ გუნდში თამაშობს.

## შუსტერის საფიქრალი

**მადრიდის** „ატლეტიკო“ მწვრთნელ ხავიერ აგირესთან კონტრაქტის გახანგრძლივებას აღარ აპირებს. იგი, შესაძლოა, ხეტაფელმა ბერნდ შუსტერმა შეცვალოს.

„ატლეტიკოს“ მთავარმეწილე მიგელ-ანხელ მარინი უკვე შეხვდა გერმანელს და ესაუბრა. შუსტერი გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს, რადგან „რეალი“ და „ვალენსიაც“ ეპატიჟებიან. მარინის სხვა ვარიანტიც აქვს — გერმანელის უარის შემთხვევაში „დეპორტივოდან“ ხოაკინ კაპაროსის გადაყვანას ეცდება.

## ფიგუს კიევში ეპატიჟებიან

**მილანის** „ინტერიდან“ ფაქტობრივად აბარგებული ლუიშ ფიგუ, შესაძლოა, კიევის „დინამოში“ გადავიდეს — ასეთი სენსაციური ცნობა გაავრცელეს გუშინ ევროპულმა სააგენტოებმა.

ჯერჯერობით არც ერთ მხარეს არ გაუკეთებია ოფიციალური კომენტარი და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

## ჰეკენი უეფაზე

**უეფას** ფეირ პლეის რეიტინგში პირველი ადგილი შვედეთმა დაიკავა და უეფას თასის მომავალ გათამაშებაში გზა გაეხსნა „ჰეკენს“, რომელიც შარშან უმაღლესი ლიგიდან გავარდა. რეიტინგში მეორე-მეთერთმეტე ადგილზე გასული ქვეყნებიდან კიდევ ორს ეკუთვნის ტურნირის საგზური — 15 მაისს წილისყრა მოეწყობა და იქ გაირკვევა, თუ რომელი ქვეყნის გუნდები ითამაშებენ უეფას თასზე.

## დირექტორმა ნიჭი ნახა

**„ფლუმინენსეს“** ნიჭიერი ნახევარმცველი 22 წლის კარლოს ალბერტო „ჰამბურგში“ გადადის. „ბილდის“ ცნობით, გერმანული კლუბის დირექტორი დიტმარ ბაიერსდორფერი ბრაზილიაში ყოფილა ფეხბურთელის თამაშის სანახავად, რომელსაც თურმე ფორვარდობაც ეხერხება.

„ჰამბურგი“ ბუნდესლიგიდან გავარდნას გადაურჩა და მწვრთნელ ჰუუბ სტევენსს სამომავლოდ გუნდის გაძლიერება უნდა. კარლოს ალბერტო „ფლუმინენსეში“ „კორინთიანსიდანაა“ განათხოვრებული და მისი ფასი 6 მილიონი ევროა.

**ვაჟა ხუციშვილი**



# გამოუშვით აშვებული

## ადრიანოს რეალმა დაუმიზნა

**„ინტერის“** ფორვარდი ადრიანო მადრიდის „რეალის“ სატრანსფერო სამიზნეზეა. როგორც „ასი“ გვაცნობებს, საახალსეზონოდ ბრაზილიელის „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მისაყვანად „რეალის“ გენერალური დირექტორი ხოსე ანხელ სანჩესი ზრუნავს, რომელიც აგერ უკვე ორ კვირაზე მეტია, „ინტერის“ პრეზიდენტ მასიმო მორატისთან, თავად ადრიანოსა და მის წარმომადგენელ ჟილმარ რინალდისთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. საქმეში განთქმული იტალიელი შუამავალი ერნესტო ბრონძეტიცაა ჩართული.

ამ ამბავში ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ადრიანოსთან მოლაპარაკების შესახებ „სამეფო გუნდის“ სპორტულმა დირექტორმა პრედრაგ მიატოვიჩმა და მისმა თანაშემწემ ფრანკო ბალდინიმ ორიოდე დღის წინ შეიტყვეს და ისიც როგორ, ვიღაცამ ტელეფონით შეატყობინათ, ანხელ სანჩესი ბრაზილიელის ყიდვას აპირებსო. არც პატივცემულ გენერალურ დირექტორს და არც „რეალის“ პრეზიდენტ რამონ კალდერონს კლუბის დირექტორატის საბჭოზე ადრიანოსა და სხვა სამომავლო ტრანსფერების შესახებ კრინტიც არ დაუძრავთ...

ეს კი იმას ნიშნავს, რომ „რეალის“ თავკაცობაში სერიოზული განხეთქილებაა, რამაც, საეჭვოა, „სამეფო გუნდის“ ცხოვრება გაუადვილოს.

ესპანური მედიის ცნობით, მიატოვიჩსა და სანჩესს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა, პრეზიდენტი კალდერონი კი ამ დაპირისპირებაში გენერალური დირექტორის მხარესაა, მეტიც — ამბობენ, „ბერნაბეუზე“ სპორტულ, ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ საქმეთა გადაწყვეტაში სეფესიტყვა სწორედ სანჩესს ეკუთვნისო.

მიატოვიჩს კი სულაც არ უნდა ადრიანოს შეძენა. იგი თვლის, რომ კლუბმა სულ სხვა ამპლუის ფეხბურთელების ყიდვაზე უნდა იფიქროს და ის პოზიციები გაამყაროს, რაც ყველაზე მეტად სუსტია.

რაც შეეხება თავად ბრაზილიელის სურვილს, ადრიანოს „ინტერიდან“ წასვლა უნდა, რადგანაც უკვე მეოთხე, სათადარიგო ფორვარდად იქცა იბრაჰიმოვიჩის, კრესპოსა და ხულიო კრუზის შემდეგ. „ინტერიც“ მზადაა, შესაბამის ფასად ადრიანო ესპანეთის გზას გაუყენოს.

ყველაზე მეტად „რეალთან“ ახლოს ადრიანო 2005 წლის იანვარში იყო, როცა ცნობილი სიტყვები წარმოთქვა: „ვეცდები, ჩემი და ფლორენტინო პერესის ოცნება ახდეს და კარიერა „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გავაგრძელო“.

მადრიდში ხუმრობენ, „რეალის“ გაჭირვება 2001 წელს სწორედ ადრიანოს გოლით დაიწყო — ბრაზილიელმა „სამეფო გუნდს“ საჯარიმო დარტყმით გაუტანა...

წესით, ხარის ჯანის პატრონ ადრიანოს ევროპულ ფეხბურთში თავის დამკვიდრება არ უნდა გასჭირვებოდა. „ინტერმა“ იგი „ფლამენგოში“ აღმოაჩინა მას შემდეგ, რაც ვილა კრუზეიროში დაბადებულმა ბიჭმა ბრწყინვალედ ითამაშა ოცწლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე.

თუმცა „ნეროაძურის“ მაშინდელმა მწვრთნელმა ექტორ რაულ კუპერმა ბრაზილიელს ზურგი აქცია და ისიც „პარმაში“ მივიდა...

ადრიანომ 2002-04 წლებში „პარმას“ შემადგენლობაში 23 გოლი შეაგდო და მასიმო მორატიმაც წამსვე დააბრუნა „სან სიროზე“. სწორედ მაშინ იქცა ბრაზილიელი ლიდერად და მშობლიურ ნაკრებშიც დაფუძნდა.

მაგრამ პრობლემებმაც აღარ დააყოვნა, „ინტერის“ მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ ჩათვალა, რომ ადრიანო თავისი აშვებული ცხოვრებით თანაგუნდელებს ცუდ მაგალითს აძლევს. ყოველი არდადეგების შემდეგ ფორვარდი „სან სიროზე“ არაქათგამოცლილი ბრუნდებოდა, რის გამოც მწვრთნელმა მას სათადარიგოებში მიუჩინა ადგილი.

სწორედ მაშინ ითქვა, ადრიანო „რეალში“ გადადისო, მაგრამ მადრიდულ კლუბს პრეზიდენტი შეეცვალა და...

დისციპლინასთან დაკავშირებული კრიზისი კი უფრო გაღრმავდა და „ინტერმაც“ 2006-07-ის სეზონის წინ გამოფიტული ადრიანო ბრაზილიაში გაუშვა, რათა ფეხბურთელს ძალები აღედგინა. იმ დროს მთელი მსოფლიოს სპორტული მედია აჭრელებული იყო ადრიანოს ფოტოებით — ფეხბურთელი ხან ცეკვავდა, ხან კი პირში სიგარაგაჩრილი მავვერემან ტურფებთან ერთად კამერების წინ პოზიორობდა...

ამბობენ, ეს უკვე წარსულს ჩაბარდაო...

„რეალსაც“ ამის იმედი აქვს...

**ლადო ხომერიკი**

# ორჯერ მეტმა გადაიხოტრა

**ვერ გეტყვით,** ერთი მეორესთან რაიმე კავშირშია თუ არა, მაგრამ იმ დღეს, როდესაც გაირკვა, რომ დევიდ ბექემი „ლოს ანჯელეს გალაქსიში“ მთელ დანარჩენ გუნდზე ორჯერ და კიდევ უფრო მეტ ხელფასს აიღებს, მან თავი გადაიხოტრა — ეს ორ კვირაში მისი მეორე ვარცხნილობაა.

ფაქტები ასეთია: კალიფორნიულ კლუბში გატარებულ პირველ სეზონში ბექემი 6,5 მილიონ დოლარს მიიღებს, მისი თანაგუნდელების ჯამური ხელფასი კი 2,64 მილიონი იქნება. გაირკვა, რომ ყველაზე დაბალხელფასიანი ლოსანჯელესელის ლენს ფრიცის ჯამაგირი 13 ათასი დოლარია!

და რაკი ამერიკულ ჯიბეებში ჩავყავით ხელი, ბარემ ვთქვათ, რომ „ასტონ ვილას“ ყოფილი თავდამსხმელი ხუან პაბლო ანხელი „ნიუ იორკ რედ ბულზში“ მილიონნახევარს მიიღებს.

**ბაჩუნა ძედია**



AFP

# წამსვლელებს გაუმარჯოს?
## ცულს მოვიტან ცუნცულასა: აბა, ვისი თავი გაგორდება...





**ინგლისურმა** გაზეთებმა დაწერეს, ამ ზაფხულს „სტემფორდ ბრიჯზე" ნაჯახი დატრიალდება, მაგრამ ჟოზე მაურინიუს გაგორებულ თავს ნურავინ ელით, რამეთუ ნაჯახი თავად ჟოზეს ეჭირებაო. ამით ბრიტანელები კიდევ ერთხელ გვახსენებენ, რომ მთელი ამ სეზონის განმავლობაში ჟოზე მაურინიუსა და „ჩელსის" რუს მეპატრონე რომან აბრამოვიჩს შორის დაძაბული ურთიერთობა იყო, რომლის ფინალი თითქოსდა პორტუგალიელი მწვრთნელის თანამდებობიდან გაშვება უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბოლო მონაცემებით, ორი ამაყი და თვითმპყრობელი კაცის დაპირისპირება თუნდაც ცოტა ხნით შეჩერდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალ სეზონში „ჩელსის" მწვრთნელი კვლავ მაურინიუ იქნება და სატრანსფერო პოლიტიკასაც ის გაუძღვება.

ჰოდა, ვის გაშვებას უნდა ველოდოთ ლონდონიდან?



### ხალიდ ბულარუზი

„ჩელსიმ" შარშან ზაფხულს „ჰამბურგიდან" 7 მილიონ გირვანქად იყიდა, მაგრამ ჰოლანდიის ნაკრების წევრმა მაურინიუს ძირითად შემადგენლობაში მუდმივი ადგილი ვერ გამოჰგლიჯა. თითქოს ბულარუზი ოთხი ლონდონელი მცველიდან ერთ-ერთი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მიკაელ ესიენმა აჯობა. მოკლედ, მაურინიუ 25 წლის მოთამაშეს არ ენდობა და „არსენალთან" მიღებული წითელი ბარათი, როგორც ჩანს, მისთვის მხოლოდ მოედნის დატოვების კი არა, „ჩელსის" დატოვების სიმბოლოც იქნება.



### მიხაელ ბალაკი

მთელმა სეზონმა ისე გაიარა, რომ გერმანელმა მხოლოდ კითხვის ნიშნები გააჩინა, პასუხები და, მით უმეტეს, ძახილის ნიშანი კი ვერ შემოგვთავაზა.

ერთი სიტყვით, ფაქტია, რომ „ბაიერნიდან" თავისუფალი აგენტის სტატუსით შემატებულმა ნახევარმცველმა დიდი ვარსკვლავის სახელი ვერ გაამართლა. ამის მიუხედავად, ბალაკს მაურინიუმ ხელშეუხებელი უწოდა — აქ, ფანებსა და მწვრთნელს შორის აზრები გაიყო კიდეც, მაგრამ როგორც ხედავთ, ბალაკი მაინც მწვრთნელისთვის არასასურველი მოთამაშეების სიაში მოხვდა.

მიზეზი: მიხაელმა სულ ცოტა ხნის წინ მაურინიუს დაუკითხავად თავი დაადო და გერმანიაში ფეხის ოპერაცია გაიკეთა.



### ჯერემი ნჯიტაპი

ამ უკიდურესად სასარგებლო ფეხბურთელს მწვრთნელი საჭიროებისამებრ იყენებდა ხოლმე, მაგრამ განსაკუთრებული მას არასდროს არაფერი გაუკეთებია. ერთი სიტყვით, ჯერემი კვლავ კარგ ფეხბურთელად რჩება, მაგრამ მაურინიუ მას სამომავლოდ, 24-კაციან სიაში ვერ შეიყვანს.

ბედის ირონია: ჯერემის, მადრიდის „რეალის" ყოფილ ნახევარმცველს, პენალტი ცხოვრებაში არ გაეცუდებინა... ჩემპიონთა ლიგაში „ლივერპულთან" ამასწინანდელ ნახევარფინალამდე.



### ანდრეი შევჩენკო

შევჩენკო დიდი ვარსკვლავია. მაშ, რამ და როდის გააფუჭა მასსა და ჟოზე მაურინიუს შორის ურთიერთობა? პასუხი მარტივია, ურთიერთობა თავიდანვე გაფუჭებული იყო — მაურინიუს არასდროს უნდოდა, გუნდში შევჩენკო ჰყოლოდა. ის მოუყვანეს, დაუსვეს და, ფაქტობრივად, აიძულეს, ათამაშეო.

შედეგი: უკრაინელმა პრემიერლიგაში მხოლოდ 4 გოლი გაიტანა და ბოლოს საზარდულის ოპერაციის გასაკეთებლად გაიქცა. გარდა ამისა, ისე ჩანს, რომ შევჩენკომ „მილანიდან" ლონდონში გადასვლის შემდეგ ცოტა სისწრაფეც კი დაკარგა...



### არიენ რობენი

უნიჭიერესია, ორივე ფეხით მოთამაშე, სწრაფი, მაგრამ სეზონის მეტი წილი ექიმებთან გაატარა.

**ბაჩუნა ძიძია**

## სექსი? არა, ფეხბურთი!

**ბრიტანულმა** ჟურნალმა VIRGIN MONEY-მ გამოკითხვა მოაწყო: ორი ათასზე მეტ რესპონდენტს ჰკითხა, თუ რამდენად ხშირად ფიქრობენ ფეხბურთზე. აღმოჩნდა, რომ ყოველ თორმეტ წუთში ერთხელ მათი ფიქრები ბურთით და გუნდითაა დაკავებული, ანუ თავში უფრო ხშირად ფეხბურთი უტრიალებთ, ვიდრე სექსი. შვიდ პროცენტს კი უთქვამს, ყოველ წუთს ფეხბურთზე ვფიქრობო.

ჟურნალმა ამის მიხედვით საკლუბო რეიტინგიც შეადგინა. ყველაზე გადარეულები „შეფილდ იუნაიტედის" გულშემატკივრები ყოფილან, რომლებსაც დღეში 110-ჯერ ახსენდებათ გუნდი. მეორეზე „ჩარლტონის" ფანები გავიდნენ (104), მესამეზე „ჩელსის" ქომაგები (90), მეოთხეზე კი „ლივერპული" (81). „მანჩესტერის" გულშემატკივრებს დღეში 71-ჯერ ეწვევათ სათაყვანებელ კლუბზე ფიქრი, ხოლო „ევერტონის" ქომაგებს ძალიანაც არ აღარდებთ თავიანთი გუნდი, რადგან 43-ჯერ თუ გაახსენდებათ მისი არსებობა.

## ულიეც გამოჩნდა

**„ნიუკასლის"** მწვრთნელობის მორიგი კანდიდატია „ლიონის" თავკაცი ჟერარ ულიე — წერს „სანი".

გლენ როოდერის წასვლის შემდეგ „კაჭკაჭებში" სემ ალარდაისის დანიშვნაზე საუბრობდნენ, მაგრამ ჯერ არაფერი გარკვეულა. ბოლო დღეებში სვენ გორან ერიკსონის გვარიც ამოტივტივდა და ახლა ჟერარ ულიეც გამოჩნდა, რომელსაც „ლიონთან" კონტრაქტი აქვს, თუმც მისი გაწყვეტა შესაძლებელია.

ულიეს „ლივერპულში" უმუშავია და ერთ სეზონში ხუთი თასი მოიგო.

## ბენიტესმა ლივერპული დააპატიჟა

**ჩემპიონთა** ლიგის ფინალისტი „ლივერპული" ათენში ჩასვლამდე ხუთდღიან შეკრებას ესპანეთში მოაწყობს — ასე გადაწყვიტა რაფაელ ბენიტესმა, გუნდი აკლიმატიზაციას გაივლისო.

„ლივერპული" 15 მაისს ჩაფრინდება მწვრთნელის სამშობლოში და 21-ში ათენში ჩავა, სადაც ლიგის ფინალი გაიმართება 23 მაისს, ოთხშაბათს.

ინგლისური კლუბის ფანებს უეფამ 17 ათასი ბილეთი გამოუყო, რამაც ლივერპულელები გაანაწყენა. ათენის სტადიონი 63 ათასიანია და მათ ბილეთები ეცოტავათ. უეფელმა უილიამ გალიარდმა განაცხადა, მილიონიანი სტადიონიც რომ არსებობდეს, მაინც არ დაეტეოდა ხალხი, იმდენი მსურველიაო.

შავ ბაზარზე ბილეთის ფასმა უკვე 2 ათას დოლარს უწია.

**გაგა ხუციშვილი**

## ინგლისი

### პრემიერლიგა
### გადადებული მატჩი

**ჩელსი 0:0 მანჩესტერი**

**ჩელსი:** კუდიჩინი, ლ. დიარა (მორაიში 88), პ. ფერეირა, ტერი, ბრიჯი, შ. რაიტ-ფილიპსი, მაკელელე, ესიენი, მიკელი (ჯ. კოული 46), ს. კალუ, ს. სინკლეირი (საჰარი 54)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

**მანჩესტერი:** კუშჩაკი, ლი, ვ. ბრაუნი, ოში, ჰაინცე (კარიკი 65), იგლსი, ა. სმიტი, ფლეტჩერი, რიჩარდსონი, სოლსკიაერი, დონგი (რუნი 73)

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: მიკელი, დიარა, ესიენი, ჰაინცე, ლი, ბრაუნი, იგლსი

მსაჯი: პოლი

41 794 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 37 | 28 | 5 | 4 | 83:26 | 89 |
| ჩელსი | 37 | 24 | 10 | 3 | 63:23 | 82 |
| ლივერპული | 37 | 20 | 7 | 10 | 55:25 | 67 |
| არსენალი | 37 | 19 | 10 | 8 | 63:35 | 67 |
| ევერტონი | 37 | 15 | 12 | 10 | 51:35 | 57 |
| ტოტენჰემი | 36 | 16 | 8 | 12 | 54:52 | 56 |
| ბოლტონი | 37 | 16 | 7 | 14 | 45:50 | 55 |
| რედინგი | 37 | 16 | 6 | 15 | 49:44 | 54 |
| პორტსმუთი | 37 | 14 | 11 | 12 | 45:42 | 53 |
| ბლექბერნი | 36 | 15 | 5 | 16 | 48:50 | 50 |
| ასტონ ვილა | 37 | 11 | 16 | 10 | 41:39 | 49 |
| მიდლსბრო | 37 | 11 | 10 | 16 | 41:48 | 43 |
| ნიუკასლი | 37 | 11 | 9 | 17 | 37:46 | 42 |
| სიტი | 37 | 11 | 9 | 17 | 28:42 | 42 |
| ფულემი | 37 | 8 | 15 | 14 | 37:57 | 39 |
| შეფილდი | 37 | 10 | 8 | 19 | 31:53 | 38 |
| ვესტ ჰემი | 37 | 11 | 5 | 21 | 34:59 | 38 |
| უიგანი | 37 | 9 | 8 | 20 | 35:58 | 35 |
| ჩარლტონი | 37 | 8 | 9 | 20 | 32:58 | 33 |
| უოტფორდი | 37 | 5 | 12 | 20 | 28:58 | 27 |

## ესპანეთი

### თასის ნახევარფინალი
### საპასუხო მატჩი

***სევილია* 2:0 დეპორტივო (3:0)**

1:0 დუდა (3), 2:0 ჩევანტონი (33)

**სევილია:** პალოპი, ჰინკელი, ესკუდე (ფაციო 35), დრაგუტინოვიჩი, დავიდი, დანი ალვეში, მარტი, რენატო (მარესკა 57), დუდა (კერჟაკოვი 59), ალფარო, ჩევანტონი

მწვრთნელი: ხუანდე რამოსი

**დეპორტივო:** მუნუა, მანუელ პაბლო (ბარაგანი 61), ლოპო, ჟ. ანდრადე, ფილიპე, დუშერი, დე გუზმანი, ესტოიანოფი, არისმენდი (ვერდიუ 46), კრისტიანი, ტაბორდა (ბოდიპო 76)

მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი

გაფრთხილება: ანდრადე

მსაჯი: მეხია დავილა

45 000 მაყურებელი

## ჩეხეთი

### გამბრინუს ლიგა
### XXVII ტური

ბუდეიოვიცე — ტეპლიცე 1:2; ლიბერეცი — ზლინი 2:2; მოსტი — პლზენი 1:1; სიგმა — პრჟიბრამი 0:0; სლოვაცკო — კლადნო 0:1; ბრნო — სპარტა 1:2; სლავია — ბოლესლავი 1:1; ბანიკი — იაბლონეცი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 27 | 16 | 7 | 4 | 36:19 | 55 |
| ლიბერეცი | 27 | 15 | 9 | 3 | 41:17 | 54 |
| ბოლესლავი | 27 | 15 | 6 | 6 | 41:26 | 51 |
| სლავია | 27 | 14 | 7 | 6 | 38:21 | 49 |
| ტეპლიცე | 27 | 11 | 8 | 8 | 41:33 | 41 |
| ბანიკი | 27 | 10 | 10 | 7 | 35:29 | 40 |
| პლზენი | 27 | 10 | 9 | 8 | 31:28 | 39 |
| ბრნო | 27 | 10 | 7 | 10 | 32:32 | 37 |
| იაბლონეცი | 27 | 8 | 11 | 8 | 28:29 | 35 |
| ბუდეიოვიცე | 27 | 9 | 7 | 11 | 25:37 | 34 |
| მოსტი | 27 | 5 | 14 | 8 | 28:33 | 29 |
| კლადნო | 27 | 7 | 8 | 12 | 20:32 | 29 |
| სიგმა | 27 | 6 | 6 | 15 | 26:38 | 24 |
| ზლინი | 27 | 4 | 11 | 12 | 17:30 | 23 |
| პრჟიბრამი | 27 | 3 | 12 | 12 | 15:32 | 21 |
| სლოვაცკო | 27 | 2 | 10 | 15 | 17:35 | 16 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შაირ-სიტყვითა მესტვირის ჩანაწერები








**რაღაც,** ლონდონის „არსენალი“ და მისი თავკაცი არსენ ვენგერი მივივიწყეთ, ამიტომ, მოდით, მდგომარეობა გამოვასწოროთ: „მეთოფეთა“ შეფი ამბობს, რომ მისი გაუთავებელი ძიძგილაობა „ჩელსის“ თავკაც ჟოზე მაურინიუსა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაც ალექს ფერგიუსონთან ათ წელიწადში ფეხბურთისთვის თავს დაანებებინებს.

სურათი ასეთია: ფერგიუსონმა 65 წლისამ მეცხრედ მიიყვანა „მანჩესტერ იუნაიტედი“ ინგლისის ჩემპიონის ტიტულამდე, მაურინიუმ კი 44 წლისამ სამი სეზონიდან ორში გააჩემპიონა „ჩელსი“ — პირველს შეუძლია, სიბერეში მიღწეული დიდი შედეგებით დაიკვეხნოს, მეორეს კი ახალგაზრდობით.

და რას შვრება 57 წლის ფრანგი? ის შიშობს, რომ ფეხბურთისთვის საჭირო ადრენალინის მარაგს მაურინიუსა და ფერგიუსონთან კინკლაობაში ფლანგავს.

არადა, პირწმინდად საფეხბურთო წარმატებებისთვის ვენგერმა ჩინებული საფუძველი ჩაყარა: „არსენალს“ ახალთახალი „ემირატ სტედიუმი“ აქვს და გუნდში მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა ჰყავს შეკრებილი.

## ფერგიუსონთან და მაურინიუსთან ძიძგილაობით გადაღლილმა ვენგერმა არ იცის, რამდენს უხდიან

„მწვრთნელობა ის პროფესიაა, სადაც წარმატების მისაღწევად ადამიანს უდიდესი ჯანი და ნადირის ლტოლვა სჭირდება, თუმცა ერთიცა და მეორეც ასაკთან ერთად, შესაძლოა, ართრიტად და ტესტოსტერონის ნაკლებობად გადაიქცეს. ჩემს ასაკში ადამიანი უკვე ნათლად ხვდება, რომ უფრო მეტი იცხოვრა, ვიდრე უნდა იცხოვროს. ვფიქრობ, დღევანდელ „არსენალს“ წინ ათი წელიწადი ნამდვილად აქვს, მე კი არა, რადგან ათი წლის შემდეგ 67 წლისა ვიქნები. ამ დროისთვის ზუსტად უნდა გვქონდეს განსაზღვრული, რას ვაკეთებთ: ძველებურად, ანუ ჩემებურად ვაგრძელებთ, სანამ გავძლებთ თუ ახალი კონცეფციის ძიებას ვიწყებთ. რასაკვირველია, არიან ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ, 40 წელიწადი იმუშაონ მწვრთნელად. მაგალითად, ბობი რობსონს ან ჯოვანი ტრაპატონის მოხუცებულობაშიც ახალგაზრდული ჟინი და ენერგია აწვებათ. რაც შემეხება მე, ჩემი მთავარი კოზირი ყოველთვის იმის რწმენა გახლდათ, რომ ხვალ დღევანდელზე უკეთ ვიქნები და თუ ეს რწმენა დავკარგე, აღარც პროფესიაში ვივარგებ და აღარც ცხოვრებაში“.

აი, ასე ფიქრობს ადამიანი, რომელმაც მწვრთნელის პროფესიაზე პირველად ბავშვობაში, მშობლების რესტორანში ტრიალის დროს იფიქრა.

კიდევ, საინტერესო რა არის, იცით? ის, რომ ვენგერს წარმოდგენა არა აქვს... რამდენია მისი ხელფასი. სამაგიეროდ, ზუსტად იცის, რომ ის „ძალიან ბევრია“ და ამას რომ ამბობს, უხერხულად იშმუშნება.

„გულწრფელად გეუბნებით, არ ვიცი, ზუსტად რამდენი მაქვს — ამბობს ინგლისის სამგზის ჩემპიონი, ფეხბურთის ასოციაციის თასის ოთხგზის მფლობელი და ჩემპიონთა ლიგის ფინალისტი მწვრთნელი — საქმე ის არის, რომ ჩემი ჯამაგირი რაღაცნაირად არის დამოკიდებული ტიტულებზე, ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლა-ვერგასვლაზე და ასე შემდეგ. რასაკვირველია, დიდი ხელფასი მაქვს, მაგრამ, როგორც ხედავთ, ზუსტ რიცხვს ვერ გისახელებთ. მართალი გითხრათ, ფულზე საფიქრად არც მცალია. როდესაც დღე-ღამეში 12 საათს მუშაობ, ამაზე, ბუნებრივია, ველარ ფიქრობ. მერედა, როგორ არის, იცით? ბევრს იმიტომ ვილებ, რომ ამ სპორტში ნიხრია ასეთი. სხვა ნიხრი რომ იყოს, არაფერი შეიცვლებოდა, როგორი მწვრთნელიც ვარ, ზუსტად ისეთი ვიქნებოდი“.

და ბოლოს, ინგლისურ ფეხბურთში შემოცვენილი ძველ კლუბთა ახალი, მილიარდერი მეპატრონეების შესახებ:

„ინგლისური ფეხბურთი ახალი ეპოქის წინაშე დგას — ამბობს ფრანგი — ადრე კლუბებს ქომაგები ფლობდნენ და პატრონობდნენ. შემდეგ დიდი ფული დატრიალდა და კლუბთა მეპატრონეები ინვესტორები გახდნენ. მოკლედ, რაც ხდება, ცოტა ქაოსურია, მაგრამ გარდაუვალი. მთავარია, ინგლისური ფეხბურთის ისტორია და ტრადიციები არ დაიკარგოს“.

**პაპუნა ძიდია**

## ლიტა დაიჭირეს

**„რედინგის“** თავდამსხმელი ლეროი ლიტა კაცის ცემისთვის დააპატიმრეს. 21 წლის მეგოლე თავისი ნებით მისულა ბრისტოლის პოლიციის განყოფილებაში. ნაცემს თვალი ჩალურჯებია, კლუბის პრესმდივანმა კი თქვა, ვწუხვართ მომხდარის გამო და პოლიციას უკვე ვესაუბრეთო.

აქვე გავიხსენოთ, რომ იანვარში, ღამის კლუბში ჩხუბის შედეგად დაშავებულმა ლიტამ ერთი ღამე ჰოსპიტალში გაატარა.

## რევის შვილი: ფული არის

| 11123 | რეჯინა-კიევო | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11126 | სიენა-ემპოლი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11157 | ბილბაო-დეპორტივო | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11158 | ბარსელონა-ბეტისი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11160 | სელტა-ლევანტე | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11161 | ხეტაფე-ატლეტიკო | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11162 | ტარაგონა-სოსიედადი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11163 | ოსასუნა-ვილიარეალი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11164 | რეალი-ესპანიოლი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11166 | რასინგი-მალიორკა | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11167 | სევილია-უელვა | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11168 | ვალენსია-სარაგოსა | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11192 | ამიენი-შატორუ | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11193 | ბასტია-სტრასბური | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11194 | ბრესტი-გენიონი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11195 | დიჟონი-აიაჩო | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11196 | გენგამი-ტუარი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11197 | ლიბურნი-ისტრი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11198 | მეცი-გრენობლი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11199 | ნიორი-კრეტეი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11200 | კაენი-რეიმსი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11201 | მონპელიე-ლე ავრი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |

## პლაჟის ფრენბურთი




# გეორ და გიას მანამაში ეამათ

**პლაჟის** ფრენბურთში ქართულ პასპორტიანი ბრაზილიელები რენატო და ჟორჟი, იგივე გეორგ და გია საგაისო პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირებზე სექტემბრიდან ითამაშებენ, მანამდე კი მსოფლიო ტურები და ჩემპიონატია. თუ ჩვენმა წყვილმა იქამდე მსოფლიოს რეიტინგში ოცდაათ საუკეთესოში იტრიალა, რაც ძალიან რეალურია და ახლაც ასეა, მაშინ სალიცენზიო ტურნირებს უკეთეს ვითარებაში დაიწყებს — ქულებიც უფრო მრავლად დაერიცხება.

გეორ-გიამ საამისო ფრენბურთობა ბაჰრეინის მთავარქალაქ მანამას მსოფლიო ტურით დაიწყო. განთესვით ჩვენები საკვალიფიკაციო ეტაპზე მე-3 ნომრად მოხვდნენ და ძირითად ბადეში მოსახვედრად ოდენ ორ მატჩის მოგება დასჭირდათ.

გეორ და გიამ ჯერ ნახევარსაათიანი პლაჟბურთობა სამხრეთაფრიკელებს აუგუსტიდესოს და ფლისბერხს 2:0 მოუგეს, მერე კი ნორვეგიელები, ბიორდალენი და გორანსონი 2:1-ით დაიფრინეს ტურნირიდან.

დღეს გეორ და გია ძირითად ბადეში ითამაშებენ და მათი მეტოქე სხვა ნორვეგიული წყვილი — კემპერუდი და სკარლუნდი იქნება, რომლებსაც მსოფლიო რეიტინგში მე-19 ადგილი უკავიათ.

**ბაჩო სვანიძე**

## კალათბურთი




# ფიშერის აფიშა

## ჯაზბენდს დამრტყმელმა ჩამოუსწრო

9 მაისი

### დასავლეთი

### იუტა 2:0 გოლდენ სტეიტი




**იუტა 127:117 გოლდენ სტეიტი**

**იუტა:** ბუზერი (30 ქულა, 13 მოხსნა), ოქური (23 ქულა, 18 მოხსნა), კირილენკო (20 ქულა, 9 მოხსნა, 6 დაფარება, 5 პასი), უილიამსი (17 ქულა, 14 პასი)

**გოლდენ სტეიტი:** დევისი (27), რიჩარდსონი (27), ჯეკსონი (18), ჰარინგტონი (17)

**„იუტას"** „ჯაზბენდი" დიდრონი და ბოხვერა მეფარეებითაა სავსე, რომელთაც შედარებით ტანმორჩილი გოლდენსტეიტელი „მეომრები" ვერას აკლებენ. კარლოს ბუზერმა, მეჰმეთ ოქურმა და ანდრეი კირილენკომ ახლაც დაჩაგრეს კალიფორნიელი ოპონენტები, სამივემ ჯამში 73 ქლა, 40 მოხსნა და 7 დაფარება მოიპოვა. „გოლდენ სტეიტი" ცდას არ აკლებს, მაგრამ ამ ტრიოს მაინც ვერაფერს უხერხებს და დონ ნელსონის გუნდი ორი გასვლითი თამაშის შემდეგ სერიაში 0:2 ჩამორჩა.

იუტელი მეფარეები ფარს ლეწავენ, მაგრამ მეორე შეხვედრის შემდეგ ყველა სულ სხვა იუტელზე ლაპარაკობდა. „ჯაზბენდის" სათადარიგო გამთამაშებელი დერეკ ფიშერი იმ დღით გუნდთან ერთად არ მისულა დარბაზში. ის ამ დროს სოლტ ლეიკ სიტიდან კარგა 3 ათასი კილომეტრით შორს, ქვეყნის მეორე კიდეზე, ნიუ იორკში გახლდათ, სადაც შვილს ოპერაციას უკეთებდნენ. ფიშერს არ უთქვამს, რა სჭირდა მის 10 თვის გოგონას. ხალხმა ეს მისი ჩამოსვლის შემდეგ გაიგო — (თუ სწორად ვთარგმნით) პაწიას თვალზე ჰქონია სიმსივნე. იმ დილით, როცა „იუტა" სალამოს თამაშისთვის მამამისის გარეშე ხურდებოდა, ექიმები გოგონას 3-საათიან ოპერაციას უკეთებდნენ.

„ყველაფერი კარგადაა" — ესლა უთხრა ფიშერმა გუნდის ადმინისტრატორს, აეროპორტიდან პირდაპირ დარბაზში რომ შეირბინა. მატჩის მესამე მეოთხედი მიდიოდა და „გოლდენ სტეიტი" სისხლს უშრობდა მის „იუტას". ფიშერი არც გახურებულა, ბოლო მეოთხედში ორიოდ წუთით ჩაერთო თამაშში და შეხვედრა ოვერტაიმში რომ გადაიზარდა, მწვრთნელმა ჯერი სლოუნმა ჰკითხა, ხარ თუ არ მზად თამაშისთვისო. 40-წუთიანი ბურთაობისთვის არა, მაგრამ ერთი ოვერტაიმისთვის კი აღმოჩნდა მზად ეს მრავალნაცადი ვეტერანი — ფიშერმა პირველივე სროლაზე სამქულიანი ჩაუკალათა „გოლდენ სტეიტს", მერე ორი საჯარიმოც მიაყოლა და დამატებით ხუთწუთეულში 5 ქულა გაახერხა, „იუტამ" კი ოვერტაიმი 14:4 მოიგო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# უნდა მოვიგოთ!

## ზაზა ფაჩულიასთვის სანაკრებო მატჩები ყოფნა-არყოფნის საკითხია

**ზაზა ფაჩულია წლეულს ადრიანად ჩამოვიდა საქართველოში. თუკი ის აქამდე უცხოურ კურორტზე ასვენებდა ნბა-ში მოქანცულ კუნთებს, ეს სეზონი დასრულდა თუ არა, პირდაპირ სამშობლოში წამოვიდა. „რაც დრო გადის, მით უფრო მენატრება საქართველოში ყოფნა. ახლა უფრო მეტ სითბოსა და ყურადღებას ვგრძნობ ჩემი ახლობლებისგან და მინდა, რაც შეიძლება, მეტი დრო გავატარო აქ — ამბობს ზაზა და უკვე რამდენიმე დღეში აპირებს ვარჯიშის განახლებას — ჩვენი ნაკრებისთვის გადამწყვეტი მატჩები ახლოვდება და ნელ-ნელა ფორმაში უნდა ჩავდგე". ფაჩულიას გუშინ თავის ახალ სახლში ვეწვიეთ და არაერთ თემაზე ველაპარაკეთ...**



— ამერიკიდან რაც ჩამოვედი, სულ ვისვენებ, თუმც დიდხანს ასე ყოფნას არ ვაპირებ და ნელ-ნელა ვარჯიშს შევუდგები. შარშან ამ დროს ძალიან დაღლილი ვიყავი, ახლა კი გაოცებული ვარ, საერთოდ აღარ ვგრძნობ სისუსტეს და შემიძლია, ვივარჯიშო. ჯერ, რა თქმა უნდა, ბურთსა და ტრენაჟორებს არ გავეკარები. ვილი აუზზე, სპორტულ, აქტიურ ცხოვრებას განვაახლებ და მერე, ამერიკაში რომ წავალ, ჩემს პირად მწვრთნელთან ვივარჯიშებ.

**— ახალი სეზონისთვის მზადებას ყველა ასე ადრიანად იწყებს?**

— არა. მე სანაკრებო მატჩები მელის და ამიტომ ვიწყებ ვარჯიშს. ისე, ვეცდები, ძალიან არ გადავიტვირთო, რადგან თუ ზედმეტი მოგივიდა, მერე ძნელია, მთელი სეზონი ერთ დონეზე ითამაშო.

**— ამას ალბათ საკუთარი გამოცდილებიდან ამბობ. გასულ სეზონში შენც გქონდა ჩავარდნა...**

— მართალია, მაგრამ ეს უფრო მორალური ჩავარდნა იყო, ვიდრე ფიზიკური. რა მნიშვნელობა აქვს, ორივე შემთხვევაში ზარალდები და კარგია, მალევე რომ აღვიდგინე ფორმა და სეზონი მაღალ დონეზე ჩავამთავრე.

**— ალბათ კმაყოფილი ხარ გასული სეზონით...**

— სტატისტიკას თუ გადავხედავთ, პროგრესი მაქვს და შესაბამისად, კმაყოფილიც ვარ. უწინდელ წინა სეზონთან შედარებით, ნაკლებ დროში მეტ ქულას ვაკეთებდი და ესაა მთავარი. მართალია, ზამთარში ჩავარდნა მქონდა, მაგრამ რაც მთავარია, სეზონი კარგად დავიწყე და კარგად ჩავამთავრე. თუ შარშან აღმოჩენა ვიყავი ატლანტელებისთვის, ახლა გუნდის ერთ-ერთ ლიდერად მთვლიან.

**— ის ჩავარდნა რისი ბრალი იყო?**

— ამდენი თამაშები, მგზავრობა, წაგებები — ყველაფერმა ამან უარყოფითად იმოქმედა. როგორც ვთქვი, ფიზიკურად არ გამჭირვებია, უფრო ფსიქოლოგიური, მორალური ზეწოლის ბრალი იყო.

**— სეზონის მიმდინარეობისას ბევრს გავარჯიშებენ?**

— ევროპასთან რა შედარებაა. ნბა-ში გაცილებით ნაკლები დატვირთვაა, დღეში ერთი ვარჯიში გვქონდა და სეზონის ბოლოსკენ ისიც გაგვიუქმეს. მატჩის წინა დღეს გუნდის წამყვანი მოთამაშეები არ ვარჯიშობენ, მხოლოდ ისინი მოდიან დარბაზში, ვინც სათანადო დონეზე არაა. მაგრამ ერთიცაა: ნბა-ში დიდ დროსა და ყურადღებას უთმობენ ტრენაჟორებზე ვარჯიშს. ევროპაში ხომ ასეა, რომ მატჩის წინა დღეს, ანაც რაიმე ტურნირის დაწყებამდე მოთამაშეებს ტრენაჟორებს არ აკარებენ. ჩემი აზრით, ეს არ არის სწორი, რადგან ამერიკაში სულ გირებს ექაჩებიან და ამას ცუდი ჯერ არავისთვის მოუტანია...

**— საინტერესოა, როგორია შენი ჩვეულებრივი დღე ატლანტაში?**

— ვარჯიში ყოველთვის ერთ დროს, დილის 11 საათზე გვაქვს. მე 9-ზე ვიღვიძებ, სახლში ვსაუზმობ და ვცდილობ, ვარჯიშზე ერთი საათით ადრე მივიდე. თუ მცირე ტრავმა მაწუხებს, მწვრთნელის მოსვლამდე თერაპიას გავდივარ, არადა, სატრენაჟოროში ვარ. გუნდის ვარჯიში 2 საათი გრძელდება, მაგრამ მწვრთნელის წასვლის შემდეგ დარბაზს არავინ ტოვებს. კიდევ ნახევარი საათი ყველა ინდივიდუალურ ვარჯიშს აგრძელებს — გააჩნია, ვის რა აქვს დასახვეწი. მაგალითად, გამთამაშებლები შორიდან ისვრიან, ცენტრები ფარქვეშ ტრიალებენ და ასე შემდეგ. ესეც რომ მორჩება, მერე მთელი დღე თავისუფალი მაქვს — სადაც მინდა, იქ მივდივარ. ოღონდ გვიანობამდე არსად არ ვრჩები.

**— ჰოდა, როგორ ატარებ თავისუფალ დროს?**

— რაკი დილი ადრე ვდგები და ვარჯიშზე დიდ ენერგიას ვხარჯავ, ძალიან ხშირად სახლში ვბრუნდები და ვიძინებ. მერე უკვე გააჩნია, ხან რას, ხან რას. მეგობრებთან ერთად დავდივარ კინოში, რესტორნებში, მაღაზიებში. ზოგჯერ ჩემთან ვიკრიბებით და ვერთობით.

**— გუნდელი მეგობრები?**

— არა, უფრო ატლანტელი ქართველები. ატლანტა ნიუ იორკის შემდეგ მეორე ამერიკული ქალაქია ქართველების რაოდენობით. ყველა იმას ამბობს, რომ ნიუ იორკში მცხოვრები ქართველობა გახლეჩილია და ერთმანეთში ცუდი ურთიერთობა აქვს. ატლანტაში პირიქითაა, იქაური ქართველები ძალიან ახლობლობენ ერთმანეთთან და მეც არაერთი მეგობარი შევიძინე. ჩვენ ხშირად ვიკრიბებით, უმეტესად ჩემთან, ისინი „ატლანტას" თითქმის ყველა შინაურ თამაშზე მოდიან და მქომაგობენ.

**— თანაგუნდელებიდან ვინ გესტუმრება ხოლმე, ან შენ ვისთან დადიხარ?**

— მე უფრო ახალგაზრდების წრეში ვტრიალებ. ჯოშ ჩილდრესი, მარვინ უილიამსი, ესტებან ბატისტა და მე — ხშირად დავდივართ ერთმანეთთან. ჯო ჯონსონთანაც ვყოფილვარ. მაგრამ ის და გუნდის ცოტა ხნიერი წევრები თავისუფალ დროს ოჯახში ატარებენ. ლორენც რაიტს რომ ვეხვეწო, ჩემთან მაინც არ მოვა, მას 7 შვილი ჰყავს და თითოეული წუთი დათვლილი აქვს.

**— მეგობრობა კარგი, მაგრამ ჩხუბი მოგსვლია ჯოშ სმიტთან...**

— ერთის მხრივ კარგია, როცა გუნდში ასეთი პატარა ჩხუბი ხდება, ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაცისთვის იბრძვი და ამ ბრძოლას ხანდახან კამათიც მოჰყვება ხოლმე. უბრალოდ, ამან სისტემატიური ხასიათი არ უნდა მიიღოს. აი, ისეთი „ვაშინგტონში" რომაა — ეტან ტომასი და გრენდან ჰეივუდი ერთმანეთს მოსისხლე მტრებივით არიან გადაკიდებულნი.

**— ამერიკულ პრესაში დაიწერა, რომ შენ სმიტი კედელზე მიაყენე და ხელი წაუჭირე, თუმც ერთ-ერთმა თვითმხილველმა ჟურნალისტმა ეს უარყო...**

— საერთოდ, რაც გასახდელში ხდება, იქვე რჩება. ეს ამბავი „ატლანტას" გასახდელს არ უნდა გასცდენოდა. გუნდი ოჯახივითაა, რაც შიგ ხდება, სააშკარაოზე არ გადის. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისაა მთავარი, რომ მე და ჯოშ სმიტს ურთიერთობა არ გაგვფუჭებია.

**— „ორლანდოში" რომ თამაშობდი, მაშინ თქვი, ტრეისი მაკგრეიდის სახლში ვიყავით და აღფრთოვანებული იყავი მისი საცხოვრებლის გაბარიტებითა და ფუფუნებით. „ატლანტაში" ვის აქვს ასეთი ფეშენებელური სახლი?**

— ყველაზე ძვირფასი სახლი ყველაზე დიდხელფასიან მოთამაშეს, ჯო ჯონსონს აქვს. მართალია ის დედისერთაა, მაგრამ მაინც უშველებელი სახლის პატრონია. ზანგების ამბავი ასეა, სულ ნათესავები ჰყავს სტუმრად — ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები. მე შენ გეტყვი, დასაძინებელი ადგილს ვერ მოუნახავს. ისე, მეც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ საცხოვრებელ ადგილს. ამდენს ვინც შრომობს და ენერგიას ხარჯავს, სახლში მაქსიმალური კომფორტი უნდა ჰქონდეს შექმნილი, რათა სათანადოდ დაისვენოს.

**— შენც იმიტომ შეიცვალე შენი თბილისური საცხოვრებელი?**

— ადრე თბილისში უფრო ცოტა ხნით ჩამოვდიოდი, ორიოდ კვირას გავატარებდი და მერე ისევ უცხოეთში მივდიოდი. ამის გამო ვამჯობინებდი, ჩემს მშობლიურ დიღმის სახლში ვყოფილიყავი, სადაც მთელი ბავშვობა გავატარე. ახლა კი ხანგრლივად ვარ თბილისში. ბინაც გამოვიცვალე და ვცდილობ, მაქსიმალური კომფორტი შევიქმნა.

**— ოლ სტარის უიკენდი თბილისში გაატარე, ნბა-ს ყველა ვარსკვლავის მატჩზე დასწრებას შეელიე, ახლა კი რეგულარული ჩემპიონატის დასრულებისთანავე გამოემართე საქართველოში. ადრე ასე არ იქცეოდი...**

— როგორ გითხრა, ახლა უფრო მეტად მაკლია ის ხალხი, რომლებსაც ჩემზე გული შესტკივათ. მეგობრები, ნათესავები, ახლობლები — თებერვალში ისინი ძალიან მენატრებოდნენ. რომ ვეუბნებოდი, ჩამოვდივარ-მეთქი, არავინ მიჯერებდა. 5 დღე მქონდა შესვენება და ამას როგორ იფიქრებდნენ. სამი დღე გზაში ვიყავი, ორიც თბილისში გავატარე, და აქ იმხელა სითბო ვიგრძენი, ამერიკაში ენერგიით სავსე დავბრუნდი. სხვათა შორის, სანამ წამოვიდოდი, ჩავარდნა მქონდა და განახლდა თუ არა სეზონი, საუკეთესოდ ავთამაშდი. მაშინ იყო სწორედ, პირადი რეკორდი, 27 ქულა რომ დავაგროვე და 20-ქულიან ზღვარს კიდევ არაერთხელ ავცდი. „ატლანტაში" ხუმრობდნენ, ხშირ-ხშირად უნდა გაგიშვათ სამშობლოშიო.

**— ხუმრობა ახსენე და რამე კურიოზს ხომ არ გაიხსენებდი?**

— მოგეხსენება, „ატლანტას" თილისმა ქორია. ჰოდა, ჩვენს დარბაზში ჰყავთ ატლანტის ზოოპარკიდან გამოყვანილი მოთვინიერებული ქორი. ყოველი თამაშის წინ ასეთი რიტუალია: ქორი გამოფრინდება, დაარტყამს წრეს მთელ დარბაზს და ბაზიერ ქალბატონს მკლავზე დაასკუპდება. 41 შინაური მატჩი გვაქვს სეზონში და ის ქორი არასდროს გაჯიუტებულა, მაგრამ ერთხელ რაღაცამ მოუფრინა და სადღაც, ჭერის კუნჭულებში გაუჩინარდა. ხალხი დაფეთდა. მოთამაშეები მოედანზე არ გადიოდნენ, ყველას ეშინოდა, დაუმორჩილებელი ქორი თავს არ დასხმოდა. კი ჰყავდათ სათადარიგო ქორი, მაგრამ სანამ პირველს არ იპოვნიდნენ. აზრი არ ჰქონდა რიტუალს, ყველა შეშინებული იყო. 911-ს დაურეკეს, პოლიციაც მოვიდა და, როგორც იქნა, კარგახნის დაგვიანების შემდეგ გაქცეული ქორი სადღაც ჭერში იპოვეს.

**— წლევანდელ დრაფტზე განაცხადი შეიტანა მანუჩარ მარკოიშვილმა. როგორ ფიქრობ, რა შანსები აქვს?**

— მარკოიშვილი ძალიან მშრომელი ბიჭია და დღეს ქართველთაგან სწორედ ის იმსახურებს დრაფტზე არჩევას. კარგი მონაცემები აქვს გიორგი შერმადინსაც, რომელმაც თუ მოინდომა, ნბა-ში ითამაშეს. სამწუხაროდ, უფრო ახალ თაობას არ ვიცნობ, მაგრამ იმედი მაქვს, იქაც არიან პერსპექტიული ბიჭები.

**— ახალმა თაობამ რომ მაღალი დონის გუნდებთან ითამაშოს, ნაკრებმა უნდა მოახერხოს ევროპის ელიტაში გადასვლა. იმედია, ამას წლეულს შეძლებთ...**

— მეც მაგის იმედი მაქვს, რადგან ახლა მართლაც ხელსაყრელი მომენტია საამისოდ. ფედერაცია ყველაფერს აკეთებს: ერთთვიანი უცხოური შეკრება, საერთაშორისო ტურნირები, ამხანაგური მატჩები, ნატურალიზებული ამერიკელი... აქამდე ყოველთვის რაღაცის პრობლემა იყო, ახლა კი ყველაფერი რიგზეა და მაინც თუ ვერ მოვახერხეთ A დივიზიონში გადასვლა, თავს ვერავინ გაიმართლებს. თუ ფინეთმა გვაჯობა, აღარ ყოფილა ჩვენი საშველი და ეგაა. ვფიქრობ, რომ ახლა ჩვენი ნაკრების ყოფნა-არყოფნის მატჩებია. ვინც არ უნდა შეგვხვდეს, იოლი გასეირნება არავისთან გვექნება. ყველას უნდა ელიტაში გადასვლა და თავსაც შეგვაკლავენ, მაგრამ ჩვენც გვაქვს თავმოყვარეობა და მიზნები. ფინელების ჯინი მჭირს და მინდოდა, პლეი ოფში სწორედ მათ შევხვედროდით, რათა გადამწყვეტი მატჩი მოგვეგო. სამწუხაროა, რომ ეს არ მოხდება, მაგრამ ჩვენ მათზე ჯგუფის მატჩში ვიძიებთ შურს.

**ირაკლი ბერტაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ იცის, სად არის ზღვარი?!



1991 წლის შემოდგომა იყო. თბილისში ხმა გავრცელდა, ვილაც ქართველმა ევერესტი დალაშქრაო, თუმცა ამისთვის მაშინ არავის ეცალა. რუსთაველზე დენთის სუნი ტრიალებდა...

იმხანად საქართველოს ტელევიზია არ მუშაობდა, არც რადიო. ინფორმაცია, ასე ვთქვათ, „ციგნების ფოსტის" ყაიდით, ხელიდან ხელში გადადიოდა და ტყუილ-მართალიც ერთმანეთში ირეოდა. ფუნიკულიორის სატელევიზიო ანძას ზვიად გამსახურდიას მომხრეები აკონტროლებდნენ და მთავრობის სახლის ეზოში გადაყვანილი მოძრავი სატელევიზიო სადგურით დროდადრო გადიოდნენ ეთერში. მოგვიანებით სწორედ ამ გადაცემებიდან შევიტყვეთ, რომ ჭორი მართალი ყოფილა, ეს „ვილაც" კი, ვინაც ქართველთაგან პირველმა შედგა ფეხი დედამიწის „მესამე პოლუსზე", ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო მთამსვლელი, თბილისელი რომან გიუტაშვილი იყო...

შემდეგ ყველაფერი აირია. ძმათამკვლელმა ომმა ამ ბუმბერაზი მთისა და რომან გიუტაშვილის სახელიც თავისთავად შთანთქა და ჩვენი პირველამსვლელიც მალე გაეცალა საქართველოს.

რამდენიმე წლის წინ მოსკოვში ვიყავი მივლინებით. თავისუფალი დრო მქონდა და დავურეკე. შინ მიმიწვია. თბილისში დაბადებულ-გაზრდილ კაცს ქართულად ლაპარაკი უჭირდა. უკვე ათი წლის წასული იყო აქედან. შესაძლოა ამის გამო, თუ ბუნებით მორიდებულს, საკუთარი თავგადასავლების მოყოლა არ უყვარდა: თავიდან საუბარი ვერ აგვეწყო, მაგრამ შემდეგ მეუღლემ, ქალბატონმა ერმამ სამზარეულოში გვიხმო და ჩვენებურმა წინანდალმაც დროულად გაჭრა



პირველი ქართველი და ქართული დროშა ყველაზე მაღლა–
რომან გიუტაშვილი ევერესტზე

**— ბატონო რომან, დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ევერესტზე ასვლა ყველა ალპინისტის ოცნებაა. თქვენ როდის შეგიჩნდათ ამ მთის დალაშქვრის სურვილი?**

— თხუთმეტი წლის ვიყავი, როცა მთაში სიარული დავიწყე და მას შემდეგ ცხოვრების საკმაოდ დიდი ნაწილი ბუნების ამ საოცრებებთან გავატარე. ზუსტად ვერ გეტყვით, როდის შემიჩნდა ეს ჭია, მაგრამ პამირისა და ტიან-შანის 7000-იანი მწვერვალების დაპყრობის შემდეგ ვგრძნობდი, რომ მეც მქონდა ჯომოლუნგმას დალაშქვრის შანსი. ჯომოლუნგმას ტიბეტელები ეძახიან. ნეპალური დასახელებაა — საგარმატხა, ხოლო ჩვენ, ევროპელები ევერესტს ვუწოდებთ. პირველად ეს ბუმბერაზი მთა 1953 წელს ახალზელანდიელმა ედმუნდ ჰილარიმ და ნეპალელმა შერპმა თენსინგ ნორგეიმ დალაშქრეს. 50-იანი წლების ბოლოს ქართველ ალპინისტებსაც გაუჩნდათ ჰიმალაებში გამგზავრების შესაძლებლობა, როდესაც თბილისში სტუმრობისას ნეპალის მეფემ ჩვენებურები საგარმატხაზე მიიწვია. ჯუმბერ მეძმარიაშვილმა, ოთარ გიგინეიშვილმა, შოთა მირიანაშვილმა და მათმა მეგობრებმა სერიოზული მზადებაც დაიწყეს, მაგრამ შემდეგ ნეპალსა და ჩინეთს შორის პოლიტიკური ვითარება დაიძაბა და ქართველი მთამსვლელების ჩანაფიქრიც ჩაიშალა.

ბოლოს ყველაზე ახლოს მიზანთან აკაკი ხერგიანი იყო. 1982 წელს ევერესტზე პირველი საბჭოთა ექსპედიცია მოეწყო. აკაკი მაშინ ჩინებულ ფორმაში იყო და მოიერიშე ჯგუფშიც თავიდანვე შეიყვანეს, მაგრამ შემდეგ ექსპედიციის ხელმძღვანელმა ევგენი ტამმა გადაიფიქრა. მოგვიანებით, როდესაც ფილმისთვის სასიმაღლო გადაღებები დასჭირდათ, ხერგიანი კინოკამერით ორჯერ ავიდა 8 000 მეტრზე, თუმც საბოლოოდ ქართველი მთამსვლელი მაინც არ გაუშვეს მწვერვალზე.

სიმართლე გითხრათ, მეც შემთხვევით გამიმართლა, რომ 1991 წლის ექსპედიციაში მოვხვდი. იმ პერიოდში საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციამ სოლიდური ჯგუფი შეკრიბა. ჰიმალაების ერთ-ერთ რვაათასიან მწვერვალ ანაპურნაზე გვინდოდა ასვლა, მაგრამ არეული პოლიტიკური ვითარების გამო არ გაგვიშვეს. იძულებული გავხდი, რუსი ალპინისტებისთვის მიმემართა თხოვნით, რომლებიც ევერესტზე ლაშქრობისთვის ემზადებოდნენ.

მსგავსი თხოვნით მათ ბევრი აწუხებდა. დიდი იმედი არ მქონია და სეზონის გახსნისთანავე პამირის ალპურ ბანაკებში გავემგზავრე სამუშაოდ. რამდენიმე თვის შემდეგ, სეზონი რომ მთავრდებოდა, შემატყობინეს, რომ ვლადიმირ ბალიბერდინის სანკტ-პეტერბურგის ექსპედიციის შემადგენლობაში ჩამრთეს და მწვერვალ პრეჟევალსკის საბაზო ბანაკიდან პირდაპირ მოსკოვში გავემგზავრე. იქიდან გადავფრინდით კატმანდუში და დაახლოებით ერთ კვირაში უკვე ლუკლაში ვიყავით.

ლუკლა მაღალმთიანი სოფელია, საიდანაც იწყება გზა ევერესტის სამხრეთ კალთებისკენ. ფეხით დაახლოებით ერთი კვირაა საჭირო საბაზო ბანაკამდე მისასვლელად და 5300 მეტრზე გაშლილ ჭრელ-ჭრელი კარვების პატარა ქალაქს ჩვენც რამდენიმე დღეში მივაღწიეთ.

**— მთამსვლელობა მთელ მსოფლიოში ძალიან პოპულარულია, განსაკუთრებით პრესტიჟულია ჰიმალაის მაღალმთიან ექსპედიციებში მონაწილეობა. საინტერესოა, დღეს რა ხალხი დადის მთაში. საერთოდ, როგორები არიან ადამიანები ზემოთ და აქ, ბარში?**

— ეგ ცოტა რთული კითხვაა, თუმც პირიქით — იოლიც. რთულია, რადგან სამყარო შეიცვალა და ადამიანებიც სხვაგვარად აზროვნებენ. ამდენად, მწვერვალისკენაც განსხვავებული მიზანი ამოძრავებთ ალპინისტებს. ზოგს განცდა აინტერესებს, სხვას საკუთარ თავზე გამარჯვება უნდა. არიან ისეთებიც, უბრალოდ რომ მოგზაურობენ.

მეორე მხრივ, მთას დაუწერელი კანონები აქვს. ქალაქში თუ საკუთარ თავს ამოეფარები, ათას რამეს მოიმიზეზებ, ადვილად უღალატებ კაცს და გასწირავ კიდეც, მთაში ეს გამორიცხულია, იქ მარადიული კანონი მოქმედებს — პატიოსნება, ერთმანეთის გატანა, „თოკში ჩაბმა". ამ მხრივ ჩვენ კარგი ჯგუფი გვყავდა. ვლადიმირ ბალიბერდინმა ევერესტი ჯერ კიდევ 1982 წელს, პირველი საბჭოთა ექსპედიციის შემადგენლობაში ედუარდ მისლოვსკისთან ერთად დალაშქრა, ხოლო ანატოლი ბუკრეევს თავად თოთხმეტივე რვაათასიანის დამლაშქრავი, იტალიელი რეინჰოლდ მესნერი ყველა დროის უძლიერეს მთამსვლელად აღიარებს. მათთან ერთად ჩვენს ექსპედიციაში კიდევ ოთხი ესპანელი იყო, მე კი მეწყვილედ ამერიკელი დენიელ მაზური მყავდა. რუს კოლეგებს დიდი ხანია ვიცნობ, დანარჩენებიც კარგი ალპინისტები და, რაც მთავარია, მშვენიერი პიროვნებები იყვნენ.

დენიელი შემთხვევით გავიცანი კატმანდუში. როდესაც გაიგო, რომ საგარმატხაზე ბალიბერდინთან ერთად ვაპირებდი ასვლას, ჯგუფის შემადგენლობაში ჩართვა მთხოვა. მთაში მეწყვილეს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. გარდა იმისა, რომ ელემენტარულად საკუთარ სიცოცხლეს ანდობ, ლაშქრობის წარმატებით დასრულებაც ბევრად არის დამოკიდებული მასზე. ამასთან, ფსიქოლოგიურადაც უნდა შეძლო პარტნიორთან შეგუება, წვრილმანებსაც კი მნიშვნელობა აქვს. მაზური მართლაც ყოველმხრივ კეთილსინდისიერი მთამსვლელი გამოდგა.

იმ პერიოდში საბაზო ბანაკში თორმეტი ექსპედიცია ემზადებოდა მწვერვალზე ასასვლელად და მხოლოდ ჩვენმა ჯგუფმა მიაღწია მიზანს. ჩემის აზრით, წარმატება მნიშვნელოვანწილად ექსპედიციის შემადგენლობამ განაპირობა. რადგან ჩვენ ყველაზე ხელმოკლენი ვიყავით, ფინანსური პრობლემების გამო ვერც შერპები დავიქირავეთ, ვერც ახალი აღჭურვილობის შეძენა მოვახერხეთ. საკვებიც კი შეზღუდული გვქონდა. ამის გამო მთელი ექსპედიცია ზუსტად ერთ თვეში დავამთავრეთ. ასეთ მოკლე დროში ასვლის მომზადება, შტურმი და ჩამოსვლა ძალზე იშვიათად ხდება.

**— სამხრეთის მარშრუტი რატომ აირჩიეთ?**

— ჯგუფს რომ შევუერთდი, ეს უკვე გადაწყვეტილი იყო. ჩრდილოეთის და სამხრეთის კლასიკურ მარშრუტებს შორის დიდი განსხვავება არ არის. საერთოდ, ევერესტზე ადვილად ასასვლელი ბილიკები არ არსებობს. ორივე მხარეს თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებები აქვს. ჩრდილოეთის კალთები უფრო ცივაა და ასასვლელი დღეებიც ნაკლებია, ხოლო სამხრეთიდან რთული მყინვარია გასავლელი. ტიბეტის მხრიდან საბაზო ბანაკი 6400 მეტრზეა, ნეპალიდან კი — 5 300-ზე. ესე იგი „ჩრდილოელები" დაახლოებით ერთი კილომეტრით ახლოს არიან მწვერვალთან, სამაგიეროდ, სამხრეთის კალთები უფრო კარგადაა შესწავლილი.

მწვერვალამდე ოთხი შუალედური ბანაკი გავმართეთ. როგორც გითხარით, შერპები არ გვყავდა, ამიტომ თოკებსაც თავად ვჭიმავდით და ტრასასაც ჩვენ ვამზადებდით. ვინაიდან კარვები არ გვყოფნიდა, წინ ბალიბერდინის ჯგუფი მიდიოდა. მე და დენიელი მეორე ეშელონში ავდიოდით. რუს მთამსვლელებს უჟანგბადო ასვლა ჰქონდათ ჩაფიქრებული, ხოლო ჩვენ — ჟანგბადის ბალონებით, თუმცა ესეც ცოტა გვქონდა.

ბოლო ბანაკი 8000 მეტრზე გავმართეთ. იქ ორადგილიანი კარავი დავდგით. ამიტომ პირველი წყვილი რომ გავიდოდა შტურმზე, მომდევნოებს მხოლოდ ამის შემდეგ ჰქონდათ კარავში ასვლის საშუალება. ალბათ ხვდებით, რომ ორ-ორნი ვმოძრაობდით მწვერვალისკენ.

**— მთაში ნელა მოძრაობენ. ასე რომ, ფიქრისთვისაც დიდი დრო გაქვთ. დარწმუნებული ვარ, დაფიქრებულხართ ადამიანის შესაძლებლობების ზღვარზეც. თქვენი აზრით, სადაა ის ბოლო წერტილი?**

— მართალი ხართ, ეს კითხვა მეც არაერთხელ დამისვამს საკუთარი თავისთვის, მაგრამ ვერც თქვენ და ვერც სხვა ამ ზღვარს ვერ იპოვნის. საერთოდ, ადამიანი ალბათ ვერასოდეს ამოწურავს თავის შესაძლებლობებს: ვიდრე ცოცხალი ხარ, მოძრაობ და წინ მიდიხარ, ის წერტილი კი სულ უფრო იქით მიიწევს. და მანამ ბრძოლა შეგიძლია, ზღვარსაც ვერასდროს მიაღწევა.

ჩემი მაგალითი ავიღოთ. 54 წლისამ დავლაშქრე ევერესტი. მაშინ ასაკის მხრივ ეს მეორე შედეგი იყო. 1999 წლის 12 მაისს თბილისელი ლიოვა სარქისოვი 60 წლის და 161 დღის იყო, ჯომოლუნგმაზე რომ ავიდა და გინესის რეკორდების წიგნშიც საუკეთესო მაჩვენებლით შევიდა. მოგვიანებით ლიოვას რეკორდიც გააუმჯობესეს. ახლა თქვენ მითხარით — ვის შეუძლია დაადგინოს ადამიანის შესაძლებლობების ზღვარი?!

**— მოდით, ისევ მწვერვალს დავუბრუნდეთ. ყველაზე მეტად როდის გაგიჭირდათ, თუ გქონდათ ისეთი მომენტი, რომ უკან დაბრუნებაზე მოგიწიათ ფიქრმა?**

— ყველაზე რთული, რაღა თქმა უნდა, ბოლო მონაკვეთია, 8000 მეტრზე ზევით. ჰაერი გაიშვიათებულია და ჟანგბადის ბალონებით მო-



დენიელ მაზური



ანატოლი ბუკრეევი და ვლადიმერ ბალიბერდინი

ძრაობ. მე და დენი მაზურს ღამის ორ საათზე გვინდოდა ბოლო ბანაკიდან გასვლა. მწვერვალამდე თითქმის 850 მეტრია. ამ მანძილის გავლის შემდეგ ძალიან ილლები და კარვამდე უკან დაბრუნება უფრო სახიფათო ხდება. ამასთან, ევერესტზე მალე ბნელდება. ამიტომ დრო მაქსიმალურად უნდა გამოიყენო.

იმ ღამეს ძლიერი ქარი ქროდა, თან ყინავდა და ღამე გასვლა შეუძლებელი გახდა. დილის 6 საათზე მზე ამოვიდა, მივხვდით, ეს ჩვენი ბოლო შანსი იყო, დახანება აღარ შეიძლებოდა. მწვერვალისკენ ორივე ნელა ვმოძრაობდით. ამ სიმაღლეზე პირველად ვიყავით და, ბუნებრივია, ორივეს გვიჭირდა. დაახლოებით დღის სამ საათზე, როდესაც მწვერვალამდე რამდენიმე ათეული მეტრიღა რჩებოდა, დენის არაქათი გამოელია. აი, მაშინ დავდექით უკან დაბრუნების საშიშროების წინაშე.

დენი 30 წლის იყო და მას კიდევ ექნებოდა ამ დიდებულ მთაზე ასვლის საშუალება, ხოლო მე ცხოვრებაში ერთხელ მომეცა ეს შანსი. წარმოიდგინეთ, რამდენად რთული იყო ჩემთვის არჩევანის გაკეთება. მინდოდა, ორივე ერთად ავსულიყავით 8848 მეტრზე. კარგახანს ვუჩიჩინე. მე ინგლისურად უხეიროდ ვლაპარაკობ, მან კი რუსული საერთოდ არ იცის. ბოლოს დავითანხმე და მაინც წამომყვა. ალბათ, ორივეს მაგივრადაც მე გავიმარჯვე. 1991 წლის 10 ოქტომბერს, ადგილობრივი დროით 17.00 საათზე მწვერვალზე ვიყავით.

— იქ რა ხდება, რა გრძნობაა?

— მაგას ნუ იკითხავთ, ვერ აგიხსნით. მახსოვს, პირველი რაც გავიფიქრე, დროშა იყო, როგორ დავამაგრო წერაყინზე ქართული დროშა-მეთქი. ეს ვერაფრით მოვახერხე, ძლიერი ქარი ქროდა. თან ხელთათმანები მიშლიდა. ბოლოს ხელში დავიჭირე, დენიმ სამი კადრის გადაღება მოასწრო და ჩემი აპარატიც გაიყინა.

სხვათა შორის, საინტერესოა ამ დროშის ისტორიაც. ჰიმალაებში ისე გავემგზავრე, შინდისფერი ქართული დროშა არც მენახა. მწვერვალზე ყველა ამაგრებს თავისი ქვეყნის მთავარ სიმბოლიკას. მე კი იგი საერთოდ არ მქონდა, მაგრამ იქ ისევ ჩვენი თანამემამულე — თალიკო ყუბუსიძე დამეხმარა. ქალბატონი თალიკო კატმანდუში ცხოვრობს, მისი მეუღლე ნეპალის სამეფო ტელევიზიის ოპერატორია. სწორედ მან იპოვა ინტერნეტში მაშინდელი დროშა, თალიკომ კი ერთ ღამეში შემიკერა. მეც მწვერვალზე წავიღე. ვიფიქრე, თუ ასვლა შევძელი, სამახსოვრო სურათიც დამრჩება-მეთქი. ასეც მოხდა. ჩემი პირველი ლაშქრობიდან თითქმის 40 წლის შემდეგ შევძელი ამ კადრის დაფიქსირება.

***

–თუ ქართული ჩამოსხმისაა, წინანდალი მართლაც კარგი ღვინოა, სუფრას თავად ბატონი რომანი უძღვებოდა. არც არაფერი შემლია. არც ის, სამშობლოდან ჩამოსული სტუმრისთვის ერთადერთ თხოვნაზე უარი არ ეთქვა. მიუკიბ-მოუკიბავად ვუთხარი, ევერესტის დროშა საქართველოში უნდა გამატანო-მეთქი. გული, რა თქმა უნდა, ადვილად არ თმობდა, მაგრამ... ქართული სპორტის დიდების მუზეუმში ამ ერთი გამარჯვების ისტორიაცაა გამოფენილი.

**გიორგი ფრანგიშვილი**

P.S. რამდენიმე დღის წინ მოსკოვში დავრეკე. ბატონ რომანს 11 მაისს 70 წელი უსრულდება და მინდოდა, იუბილემდეც შევხმიანებოდი. ყურმილი ქალბატონმა ერმამ აიღო, გაგასწრო, გუშინ გაფრინდა ჰიმალაებშიო.

გაოცებისგან პაუზა გამიგრძელდა. ისევ ქალბატონი ერმა მიხვდა და უკითხავად მიპასუხა — არც მე მინდოდა, მთაში წასულიყოო.

— ვინ იცის, სად გადის ზღვარი?!



რომან გიუტაშვილი: ევერესტისკენ!



# თიხაზე როდიკს თიხის ფეხები აქვს

**მასტერსი. რომი**
**იტალია. თიხნარი**
**საპრიზო 2 200 000 $**

**მეორე წრე**

ფილიპო ვოლანდრი (იტალია) — რიშარ გასკე (13, საფრანგეთი) 6:4 6:7 6:4; ნიკოლას მასუ (ჩილე) — ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 7:5 7:5; ფერნანდო გონსალესი (6, ჩილე) — დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) 6:2 6:1; ტომი რობრედო (7, ესპანეთი) — ოსკარ ერნანდესი (ესპანეთი) 7:5 4:6 6:1; ჟილ სიმონი (საფრანგეთი) — გილერმო კანასი (არგენტინა) 7:6 6:4; პოტიტო სტარაჩე (იტალია) — ხუან-კარლოს ფერერო (16, ესპანეთი) 6:2 3:6 6:2; ნიკოლაი დავიდენკო (4, რუსეთი) — მარატ საფინი (რუსეთი) 7:6 7:5; მიხაილ იუჟნი (15, რუსეთი) — ოლივიე როხუსი (ბელგია) 7:6 6:3; რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) — დანიელე ბრაჩიალი (იტალია) 6:4 6:2

**მესამე წრე**

ხუან-იგნასიო ჩელა (არგენტინა) — ენდი როდიკი (3, აშშ) 6:0 6:4

**ქალები**
**ბერლინი. გერმანია. თიხნარი.**
**საპრიზო 1 340 000 $**

**მეორე წრე**

მარია ელენა კამერინი (იტალია) — ნა ლი (14, ჩინეთი) 4:6 6:3 6:3; ელენა იანკოვიჩი (5, სერბეთი) — ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი) 6:3 2:6 7:5; სვეტლანა კუზნეცოვა (3, რუსეთი) — სიბილ ბამერი (ავსტრია) 6:1 7:5; ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი) — ანა ჩაკვეტაძე (9, რუსეთი) 6:4 6:4; ამელი მორესმო (2, საფრანგეთი) — ძი იანი (ჩინეთი) 6:3 6:3

**მესამე წრე**

ანა ივანოვიჩი (12, სერბეთი) — ალიონა ბონდარენკო (უკრაინა) 6:3 5:0 *(უარი)*



რაფაელ ნადალი

AFP ფოტო

**რაფაელ ნადალი** აგრძელებს თავის ტრიუმფალურ სათიხნარო სვლას. ისე ეჭვი, არავის ეპარებოდა, რომ ესპანელი ამ სერიის შემწყვეტი დანიელე ბრაჩიალისთან არ იყო. მართლაც რაფამ ძალიან ადვილად, ვარჯიშ-ვარჯიშ დასცა მასპინძელი და გრუნტზე ზედიზედ 73-ე მოგებაც მიითვალა.

ნადალი შემდეგ წრეში თავის ტკივილად ქცეულ მიხაილ იუჟნის შეხვდება. ამ რუსმა უკანასკნელ პერიოდში ორჯერ, თან ნახევარფინალებში გაამწარა — ორიოდ თვის წინ დუბაიში, მანამდე კი აშშ-ს ღია პირველობაზე. ოღონდ ეგაა, რომ ეს ამბები ორჯერვე ჰარდზე მოხდა, რაფა კი ახლა თავის ტერიტორიაზე, თიხნარზე იქნება და წესით, შურისძიება არ უნდა გაუჭირდეს.

ძალიან საინტერესო გამოდგა რუსული დერბი, სადაც ნიკოლაი დავიდენკო და მარატ საფინი მესამე წრის საგზურს ეცილებოდნენ ერთმანეთს. მატჩის წინ საფინი ამბობდა, ამდენმა წაგებებმა საკუთარი ძალების რწმენა დამიკარგა და ამის გარეშე თამაში ძნელიაო. ჰოდა, ამ შეხვედრის შემდეგ რუსი გოლიათის ფსიქოლოგიური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდებოდა, რადგან ბოლომდე ომის მიუხედავად, მაინც წააგო. დავიდენკომ ჯერ ტაი ბრეიკზე იხეირა,მეორე სეტში კი ზედ მიწურულს გაკეთებული ბრეიკით თანამემამულეს იძულებითი დასვენება გამოუწერა.

თუ რუსული დერბი მეორე წრეში შედგა, ჩილელთა დაპირისპირებას მესამეში ვიხილავთ, სადაც ფერნანდო გონოსალესი ნიკოლას მასუს დაეტაკება. ეს სამხრეთამერიკელები თითქოს ფორმაში არ იყო, მაგრამ იტალიის დედაქალაქის კორტებზე ისინი ჯერჯერობით ნორმალურად გამოიყურებიან. განსაკუთრებით მასუს თამაშია გამოსაყოფი, რომელმაც ორი სეტი იმყოფინა ჯეიმს ბლეიკის წასაქცევად. ჯაბანი მეტოქე არც გონსალესს ჰყავდა, მაგრამ ჩილელი ძალიან იოლად გაუმკლავდა დმიტრი ტურსუნოვს და რუსს მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო.

დიდხანს არ გაწელილა ენდი როდიკის სათიხნარო წარმატებები — იანკი-ბოი ამ საფარზე ჩვეულებრივ რომ უხეიროდ თამაშობს, არ ახალია. გუშინ განსაკუთრებულად კი გამოვყავით ამერიკელის გამარჯვება, მაგრამ ახლა ისევ მის უხეირო თამაშზე გვიწევს საუბარი. როდიკმა ვერაფერი დაუპირისპირა ხუან-იგნასიო ჩელას და განადგურდა კიდეც. ენდი-ბოიმ მეტნაკლებად მეორე სეტში გაიფაფხურა პირველის ნოლზე წაგების შემდეგ, მაგრამ არგენტინელმა აქაც მალე გააკეთა ბრეიკი და პირველი ჩოგნის მქნეველიც შეიქნა რომის მასტერსის მეოთხედფინალის საგზური რომ გაინაღდა.

აი, ბერლინში კი ქალებს ბუნება არაფრით აცლის თამაშს. გერმანიის დედაქალაქში გამუდმებით წვიმს, რის გამოც ზოგიერთ ჩოგბურთელს დღეში ორი მატჩის გამართვა უწევს, სათამაშო გრაფიკი მთლად რომ არ აიწეწოს.

მომხდარი ამბებიდან კი ამელი მორესმოს დაბრუნება აღვნიშნოთ. ორთვიანი შესვენების შემდეგ კორტზე გამოჩენილმა ფრანგმა ბერლინში კარგად დაიწყო და ძი იანი საკმაოდ იოლად დაამარცხა.

მესამე წრეში გავიდა კიდევ ერთი ბობოლა, მესამე ნომერი სვეტლანა კუზნეცოვა. რუსი სიბილ ბამერს მოერია. თუმც ტურნირს ორი განთესილი მაინც გამოაკლდა — ეს უიღბლოები ანა ჩაკვეტაძე და ნა ლი არიან. პირველი ცაცია ლუსი შაფაროვას ვერ გაუმკლავდა, ჩინელი კი მარია ელენა კამერინთან დამარცხდა.

ტურნირის პირველი მეოთხედფინალისტი კი ანა ივანოვიჩია. სერბმა ლამაზმანმა ალიონა ბონდარენკო აშკარად დაჯაბნა და ახლა შვეიცარიული დერბის — მარტინა ჰინგის-პატი შნიდერის წყვილის გამარჯვებულს ელის.

**ბაჩა ლომჯაშვილი**

# ანამ ბრანდი დალია

**ამერიკის** შეერთებულ შტატებში, ფლორიდის შტატის ქალაქ ინდიან ჰარბორ ბიჩის თიხნარზე მიმდინარე 50 ათასიან ტურნირზე 17 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა ანა ტატიშვილმა მიჯრით მეოთხე მეტოქეს აჯობა და კვალიფიკაციიდან წამოსული ძირითადი ბადის მეორე წრეში გავიდა.

ჩვენებურის მორიგი მსხვერპლი მრავალნაცადი პუერტორიკოელი, ოდესღაც რეიტინგის 27-ე საფეხურზე მყოფი, ამჟამად კი 171-ე ადგილამდე დაშვებული კრისტინა ბრანდი იყო. 30 წლის პუერტორიკოელს ანა წინა მეტოქეთა დარად ორ სეტში გაუსწორდა — 7:5 6:0 და ახლა კლასიფიკაციაში მასზე მცირედით წინ, 307-ე ადგილზე მყოფ ფრანგ ირენ პავლოვიჩს შეხვდება.

თუ პავლოვიჩსაც მოუგებს, ტატიშვილი მეოთხედფინალში ან პირველ ნომრად განთესილ ამერიკელ შენაი პერის დაუპირისპირდება, ანაც სამხრეთაფრიკელ ჩეინილ შეპერსს.

ტატიშვილი ერთადერთი ქართველი ჩოგბურთელია, ვინც ამ კვირის ტურნირებზე თამაშს აგრძელებს. სამწუხაროდ, თურქულ ანთალიაში, სადაც 25 ათასიანი შეჯიბრი ტარდება, ძირითადი ტურნირის მეორე წრეში უკანასკნელი ჩვენებური, მანანა შაფაქიძეც დამარცხდა. მე-3 ნომრად განთესილმა და რეიტინგში 271-ე ადგილზე მყოფმა 20 წლის სერბმა ვოიასლავა ვუკიჩმა, რომელმაც მანამდე სოფო შაფათავასაც მოუგო, შაფაქიძე 6:0 6:1 დაამარცხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი

## მსოფლიოს ჩემპიონატი
მოსკოვი, რუსეთი. 27 აპრილი – 13 მაისი

# ჩეხეთ-სლოვაკეთი მოსკოვში დაიშალა


AFP მოსკოვიდან

სლოვაკეთა მეკარე კაროლ კრიჟანი შვედებმა შვიდჯერ დაამწუხრეს

**მეოთხედფინალი**

**რუსეთი 4:0 ჩეხეთი**
*1:0 0:0 3:0*
1:0 მარკოვი 7, 2:0 მალკინი 41, 3:0 რადულოვი 52, 4:0 მალკინი 55

**შვედეთი 7:4 სლოვაკეთი**
*1:2 3:0 3:2*
0:1 ჰოსა 3, 1:1 ვარგი 8, 1:2 კაპუში 9, 2:2 ჰედსტრომი 23, 3:2 მორტენსონი 27, 4:2 ჰედსტრომი 34, 4:3 რადივოევიჩი 42, 5:3 მორტენსონი 48, 6:3 იუჰანსონი 50, 6:4 კუკუმბერგი 52, მორტენსონი 60

**მოსკოვში** მიმდინარე ჰოკეის მსოფლიო ჩემპიონატზე შავი დღე ჰქონდათ ჩეხოსლოვაკური სკოლის წარმომადგენლებს. მოგეხსენებათ, თითქმის 15 წელია, ისინი ორ ნაკრებად თამაშობენ და ცალცალკეც სერიოზულ ძალას წარმოადგენენ, მაგრამ წლეულს ორივეს ცუდად წაუვიდა საქმე და ჩემპიონატი უკვე მეოთხედფინალურ ეტაპზე დატოვეს.

სამაგიეროდ, მასპინძლებმა დაამტკიცეს, რომ სერიოზულად უმიზნებენ ოქროს — ბოლოს 1993 წელს გაჩემპიონებული რუსები საკუთარი ტრიბუნების წინ აპირებენ ამ გვალვის შეწყვეტას. ძალიან ახალგაზრდული შემადგენლობის შეკრების მიუხედავად, რუსები მშვენივრად გამოიყურებიან და ჯერჯერობით ყველას ადვილად უსწორდებიან. მასპინძელთა სვლა ვერც მათთვის ისტორიულად ყველაზე უხერხულმა მეტოქე ჩეხეთმა შეაჩერა. რუსებმა არც ლიდერ ალექსანდერ ოვეჩკინის არყოფნა შეიმჩნიეს (დისკვალიფიცირებული იყო) და კიდევ ერთი ახალგაზრდა ვარსკვლავის ევგენი მალკინის წინამძღოლობით (2+1) ადვილად გაინაღდეს ნახევარფინალის საგზური, სადაც ფინეთ-აშშ-ს გამარჯვებულს დაეტაკებიან.

ჩეხებზე არანაკლებ შერცხვნენ სლოვაკებიც, რომლებსაც მოქმედმა ჩემპიონმა შვედეთმა ჩაუტარა კარგი გაკვეთილი. სლავებმა მხოლოდ ერთი პერიოდი იჯახირეს, მერე კი სკანდინაველებმა აიშვეს და მათი გაკავება ვერც სლოვაკების გამოცდილმა ლიდერებმა შეძლეს. მატჩის გმირად კი ტონი მორტენსონი იქცა, რომელმაც ჰეთ თრიქი მიითვალა.

**კახა ლომჯიშვილი**

აფროსნობა


AFP ვალენსიიდან

# ამერიკელებს ახალი ზელანდია მოელანდათ

**გუშინ** ვალენსიის წყლებში ჩამთავრდა ლუი ვუტონის თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპი. 11 ცალანძიანი იახტიდან ოთხმა მანამდე მოიპოვა ნახევარფინალის საგზური, თუმც ბოლო დღეც გვარიანი ინტრიგით გაჯერებული გამოვიდა, რაკიღა ერთმანეთს ჯგუფური ეტაპის ორმა საუკეთესო ნავმა — ამერიკულმა „ბმვ ორეიკლმა" და ახალზელანდიურმა „თიმ ნიუ ზილენდმა" — აუშალა აფრები და რაკი გამარჯვებულს პლეი ოფში შეღავათები ეძლევა, ორივემ სრული სვლით გასწია ფინიშისკენ.

ჯგუფურის პირველ წრეში ამერიკელებს უკვე მოესწროთ ახალზელანდიელთა დამარცხება და თუ აუტსაიდერ „ჩაინასთან" სრულიად შემთხვევით წაგებას არ ჩავთვლით, უძლეველები მოვიდნენ ამ ბოლო გაცურვამდე. „ბმვ ორეიკლი" ძალზე გამართული იახტაა, მას არც არასდროს უზიანდება რამე და ეკიპაჟიც ხომ ნამდვილი ზღვის მგლების ხროვაა. მაგრამ არც ახალზელანდიელები არიან ამ საქმეში ძუძუმწოვარა ბავშვები და თავი არავისზე ნაკლებად რომ არ უჩანთ, ეს „ბმვ"-სთან პირველივე გზობაზე გამოჩნდა. ახალზელანდიური ეკიპაჟი იდეალურად შეწყობილი მუშაობდა და იახტაც სწრაფად მიაპობდა ხმელთაშუა ზღვის ტალღებს. ამერიკული ნავი უკვე პირველი მოსახვევის შემდეგ ჩამორჩა და თავგამოდებული მცდელობის მიუხედავად, ახალზელანდიელთა იალქანუკან თითქმის ორი წუთის შემდეგ გადაკვეთა ფინიში.

ამგვარად, „თიმ ნიუ ზილენდი" ჯგუფურ ეტაპზე პირველ ადგილზე გავიდა და ლუი ვუტონის თასის წესებით, საშუალება მიეცა, დანარჩენი სამი ნახევარფინალისტიდან ნებისმიერი აერჩია. მაორების კაპიტანი დინ ბარკერი თითქოს დიდი დილემის წინაშე დგასო, დიდხანს ორჭოფობდა, ვინ აერჩია. ამ დროს კი ყველამ იცოდა, ვინ იქნებოდა ნახევარფინალში „თიმ ნიუ ზილენდის" მეტოქე — ცხადია, ბარკერი არ ისურვებდა ამ წაგებით გაგულისებულ ამერიკელებთან ასე მალევე განმეორებით შეხვედრას და არც იტალიურ „ლუნა როსასთან" ბრძოლაა იოლი. ბოლოს ბარკერმა აირჩია ის, ვინც უნდა აერჩია — ესპანური „დესაფიო ესპანიოლი", რომელიც მოწინავე ოთხეულში სულ ბოლოს ჩაეწერა და მათ შორის უსუსტესად ითვლება.

მეორე ნახევარფინალურ წყვილს, შესაბამისად, „ბმვ ორეიკლი" და „ლუნა როსა" შეადგენენ. იახტები ერთმანეთს ხუთ მოგებამდე გაეჯიბრებიან, მერე კი ფინალში გასულები გამოავლენენ ლუი ვუტონის თასის მფლობელს. მაგრამ ეს არაა დასასრული. მთავარი მერე იქნება, ლუი ვუტონის თასის მფლობელი ამერიკის თასს შეეცილება თანამედროვეობის უძლიერეს იახტას — შვეიცარიულ „ალინგის", რომელმაც ეს თასი 4 წლის წინ მოიპოვა, ახლა კი დრეიფზე დგას და მოწინააღმდეგეს ელის.

**კოტე ყორშია**

| | | |
|---|---|---|
| 1 | თიმ ნიუ ზილენდი (ახალი ზელანდია) | 38 |
| 2 | ბმვ ორეიკლი (აშშ) | 37 |
| 3 | ლუნა როსა (იტალია) | 36 |
| 4 | დესაფიო ესპანიოლი (ესპანეთი) | 29 |
| 5 | ვიქტორი ჩელენჯი (შვედეთი) | 26 |
| 6 | მასკალცონე ლატინო (იტალია) | 22 |
| 7 | შოშოლოზა (სამხრეთ აფრიკა) | 20 |
| 8 | ლე დეფი არევა (საფრანგეთი) | 17 |
| 9 | 39 (იტალია) | 12 |
| 10 | იუნაიტედ ინტერნეტ ჯერმანი (გერმანია) | 5 |
| 11 | ჩაინა (ჩინეთი) | 3 |

კრივი

# ფული, ბევრი ფული


AFP

მეივეზერ — დე ლა ჰოიას ჩხუბმა მილიონები მოიტანა

**ტელეკომპანია** HBO-მ გაავრცელა განცხადება იმის თაობაზე, რომ 5 მაისს, WBC-ს ვერსიით გამართულმა საჩემპიონო ბრძოლამ საშუალო წონაში ოსკარ დე ლა ჰოიასა და ფლოიდ მეივეზერ უმცროსს შორის, ყველას დროის აბსოლუტური რეკორდი დაამყარა ფასიანი ტრანსლიაციის გაყიდვით.

როგორც გაირკვა, ლას ვეგასში გამართული ამ ჩხუბის ნახვის უფლება 2,2 მილიონზე მეტმა აბონენტმა შეიძინა და ეს მაჩვენებელი აღემატება ძველ რეკორდს — 1997 წელს მძიმეწონოსნების — მაიკ ტაისონისა და ევანდერ ჰოლიფილდის ჩხუბი 1,99 მილიონმა მაყურებელმა ნახა.

„აღფრთოვანებული ვარ — განაცხადა ამასთან დაკავშირებით ბრძოლაში დამარცხებულმა დე ლა ჰოიამ — ბუნებრივია, გააკეთო ამდენი ფული, ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი მაყურებელთა რაოდენობაა. ასეთი აუდიტორია ხომ მძიმეწონოსნებსაც არ ჰქონიათ".

ლას ვეგასში გამართული ჩხუბის მარტო სატელევიზიო შემოსავალმა, დაახლოებით 120 მილიონი შეიდგინა და მთლიანობაში კი ამ საკრივო შოუმ ორგანიზატორებს თითქმის 150 მილიონი დოლარი მოგება დაუტოვა.

რაღა, თქმა უნდა, თავად მოკრივეებმაც ბლომად ფული იშოვნეს. მხოლოდ ჩხუბისთვის დე ლა ჰოიამ 23,3 მილიონი მიიღო, ხოლო მეივეზერმა — 10 მილიონი, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ თითოეულ მათგანს სატელევიზიო შემოსავლებიდანაც ეკუთვნის წილი, ოსკარის ჰონორარი დაახლოებით 50 მილიონი გამოვა, ფლოიდის კი — 20 მილიონი.

ფაქტია, ოსკარ დე ლა ჰოია კვლავაც რჩება ამერიკელთა უსაყვარლეს მოკრივედ და სრულად ამართლებს „ოქროს ბიჭის" მეტსახელს, რომელიც მას, ჯერ კიდევ 1992 წელს, ბარსელონის ოლიმპიადაზე გამარჯვების შემდეგ შეარქვეს.

დე ლა ჰოიას პროფესიონალური კარიერის მანძილზე, მის მიერ ჩატარებული ბრძოლების სატელევიზიო შემოსავლებმა ჯამში 612 მილიონი დოლარი შეადგინა და ოსკარი ამ მხრივაც აბსოლუტური რეკორდსმენი გახდა — „ოქროს ბიჭმა" მეივეზერთან ჩხუბის შემდეგ შორს მოიტოვა ევანდერ ჰოლიფილდი (545 მილიონი) და მაიკ ტაისონი (543 მილიონი).

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბაჩრი კვთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეჩვლია, ხათუნა ბუხურიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაб წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge